

მიღებულია “კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს” 2009 წლის 30 დეკემბრის №2 სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად

დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 30 სექტემბრის № 315/თ ბრძანებით

## სიმსუქნის მართვა პირველად ჯანდაცვაში

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია

(გაიდლაინი)

## სიმსუქნის მართვა პირველად ჯანდაცვაში

**სამიზნე პროულაცია** - კლინიკური რეკომენდაცია ეხება მოზარდებისა და მოზრდილი პაციენტების სიმსუქნის პრევენციას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას და მოიცავს ცხოვრების წესის მოდიფიცირებას, მედიკამენტურ მკურნალობას და ქირურგიულ ჩარევას. გაიდლაინი არ განიხილავს პედიატრიულ პროულაციას, მაგრამ თანდართული აქვს სხეულის მასის გამოსათვლელი ცენტრული რუკები ბავშვთა ასაკისთვის (დანართი 1).

### გამოყენებული შემოკლებები

- სმ0** – სხეულის მასის ინდექსი
- საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების კონტროლის სამმართველო (**Food and Drug Administration**)

### 1. დაავადების განმარტება, სინონიმები, კლასიფიკაცია და ტერმინოლოგია

სიმსუქნე წარმოადგენს ქრონიკულ, მულტიფაქტორული გენეზის დაავადებას, რომელსაც კომპლექსური ფსიქოლოგიური, გარემო პირობების, სოციალური, კულტურული, გენეტიკური, მეტაბოლური და ცხოვრების წესით გამოწვეული მიზეზები და შედეგები გააჩნია. სიმსუქნე – ორგანიზმში ცხიმის ჭარბად ჩალაგებას გულისხმობს, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

სიმსუქნისა და ჭარბი წონის განვითარებას საფუძვლად უდევს ქრონიკული დისბალანსი ორგანიზმის მიერ მიღებულ და დახარჯულ ენერგიას შორის. ენერგიის ცვლა და ცხიმის დაგროვების ინტენსივობა ბიოლოგიურ (გენეტიკური და ჰორმონული), სოციალურ, ქცევით და გარემო ფაქტორებს შორის რთული ურთიერთქმედებით განისაზღვრება. ითვლება, რომ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე სიმსუქნის გავრცელების სწრაფი მატება კულტურული და გარემო ფაქტორების ზემოქმედების შედეგია.

ჭარბი მასის, სიმსუქნის ხარისხის დადგენა ხდება სხეულის მასის ინდექსის საფუძველზე (იხ. თავი „დიაგნოზი“).

ცხრილში №1 მოცემულია სხეულის მასისა და სიმსუქნის კლასიფიკაცია სხეულის მასის ინდექსის მიხედვით.

## სხეულის მასისა და სიმსუქნის კლასიფიკაცია

სხეულის მასისა და სიმსუქნის შივსასება	სმი (კგ/მ <sup>2</sup> )
▪ სხეულის მასის დეფიციტი	< 18,5
▪ ნორმალური წონა	18,5-24,9
▪ ჭარბი წონა	25,0-29,9
▪ სიმსუქნე (I ხარისხის)	30,0-34,9
▪ სიმსუქნე (II ხარისხის)	35,0-39,9
▪ მორბილული სიმსუქნე (III ხარისხის)	> 40

## 2. ეპიდემიოლოგია

როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებში სიმსუქნისა და ჭარბი წონის ეპიდემიოლოგიური გავრცელების მონაცემები საგანგაშო ტემპით იმატებს. გარემო პირობებისა და ცხოვრების წესის ცვლილებები, რომლებიც განპირობებულია ეკონომიკის განვითარებით, მოდერნიზაციით და ურბანიზაციით, ხელს უწყობენ სიმსუქნის მომატებას. სიმსუქნისა და ჭარბი წონის მაჩვენებლები მზარდი ხასიათისაა ბავშვებსა და მოზრდილებში, და ამ პრობლემის შედეგად განვითარებული გართულებების შედეგები ჯანმრთელობისთვის შეიძლება აისახოს უახლოეს მომავალში.

ჯანმოს მონაცემებით, პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით 30%-ს სხეულის წონის სიჭარბე აღენიშნება. სიმსუქნის გავრცელება ეპიდემიოლოგიური კვლევებით სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა კონტინენტზე, სხვადასხვა რაიონებში, მოწმობს სიმსუქნის საკმაოდ ფართო ვარიაციულობას, ჭარბი სმი-ის მქონე პირთა უმეტესობა გვხვდება ზრდასრულ ქალებს შორის, განსაკუთრებით მაღალია აშშ-ის შავკანიან მოსახლეობასა და ავსტრალიის აბორიგენებში (35-45%). სმი-ის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია აშშ-ის თეთრკანიან მოსახლეობას შორის, ასევე დასავლეთ გერმანიაში. მაღალია ის საქართველოშიც. სხეულის მასის ინდექსის ნორმის ზემოთ მატებას თან სდევს საერთო სიკვდილობის მატება, რაც ძირითადად კარდიოვასკულარული სიკვდილობის ზრდის ხარჯზე ხდება. (III). სიმსუქნე ასევე ასოცირებულია სარძევე ჯირკვლის, საშვილოსნოს, საკვერცხისა და კოლინჯის კიბოს, ნაღვლის ბუშტისა და სახსრების დაავადებების მომატებულ რისკთან. (III). ჭარბი წონა და სიმსუქნე, ხშირად სოციალური პრობლემების მიზეზი ხდება და მნიშვნელოვნად აქვეითებს ცხოვრების ხარისხს. (IV). ევროპის ქვეყნებში სიმსუქნესთან დაკავშირებული ჯანდაცვის დანახარჯები 7%-ს შეადგენს, რაც კიბოზე დახარჯულ თანხებს უტოლდება (Branka, 2007).

სიმსუქნე ეროვნულ ეპიდემიად იქცა აშშ-ში, სადაც სამკურნალო დაწესებულებებში არაჰოსპიტალიზირებული მოზრდილების 32% მსუქანია,

ხოლო 66,3% ან ჭარბი წონისაა ან მსუქანია. ყველაზე უახლესი მონაცემების მიხედვით 12-19 წლების ასაკში მყოფი მოზარდების 17% ჭარბი წონისაა და კიდევ 16% იმყოფება ჭარბი წონის რისკის ქვეშ (Odgen, 2006). ევროპის ქვეყნებში სიმსუქნის გავრცელების მაჩვენებელი მამაკაცებში 10- 25%-ს, ხოლო ქალებში 10-30%-ს შეადგენს (Branka 2007; James WP, 2008). უკანასკნელი ათი წლის მანძილზე სიმსუქნით ავადობა მსოფლიოში 10-40%-ით გაიზარდა.

საქართველოში 2005 წელს აღირიცხა სიმსუქნის 2539 ავადობის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე, მათ შორის, 920 ახალი შემთხვევა.

საქართველოში სიმსუქნით დაავადებულთა 69%-ს აღენიშნებოდა ვისცერალური სიმსუქნე, მათ შორის 55% მამაკაცია, ხოლო 45% ქალი.

თბილისში 2007 წელს ჯანმოს ხელშეწყობით არაგადამდები დაავადებების რისკ-ფაქტორების გავრცელების შეფასების მიზნით ჩატარებული კვლევის მონაცემებით, გამოკვლეული 2500 პირიდან მხოლოდ 34%-ს ჰქონდა ნორმალური წონა (სმი 18,5-24,9). ჭარბი წონა აღმოაჩნდა 34,9%-ს (სმი 25-29,9). სიმსუქნე აღინიშნა რესპოდენტების თითქმის 1/3-ში (29,4%), უფრო ხშირად ქალებში. რესპოდენტთა მხოლოდ 1,7% იყო გამხდარი (სმი < 18,5) და 2,6%-ს (მამაკაცთა 1,4% და ქაღთა 3,7%) აღენიშნა III ხარისხის სიმსუქნე. წელის გარშემოწერილობის საშუალო მაჩვენებელი ქალებში (90,2სმ) აღემატებოდა ოპტიმალურ მაჩვენებელს, მაშინ, როცა მამაკაცებში იყო მოწოდებული ნორმის ფარგლებში (99,3სმ). წელის გარშემოწერილობა მამაკაცთა 38,8% და ქაღთა 54,4%-ში აღემატებოდა ოპტიმალურ მაჩვენებლებს. თეძოს/წელის გარშემოწერილობის მაჩვენებელი მამაკაცებში არ აღემატება სტანდარტულ მაჩვენებელს (0,94), მაგრამ ქაღებში იგი ოპტიმალურ მაჩვენებელზე მაღალია (0,83) (არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში 2006-2007წწ.).

სიმსუქნის და მასთან დაკავშირებული დაავადებების ეკონომიკური ზეგავლენა აშშ-ს ეკონომიკაზე განსაცვიფრებელია და დაახლოებით 118 მილიარდი დოლარით ფასდებოდა 1990-იანი წლების ბოლოს, ანუ ეროვნულ ბიუჯეტში ჯანდაცვაზე გამიზნული ბიუჯეტის დაახლოებით 12%-ს შეადგენდა, თანახმად 2000 წელს “Worldwatch Institute”-ის მიერ მოყვანილი მონაცემებისა.

აშშ-ს მონაცემებით სიმსუქნესთან ასოცირებულია წელიწადში 110000 ლეტალურ შემთხვევაზე მეტი (Flegal, 2005 [C]).

**ჰარბ წონასა და სიმსუქნესთან ასოცირებული დაავადებები**

წონის მომატებასთან და სიმსუქნესთან ერთად, მამაკაცებსა და ქალებში, მატულობს სხვადასხვა დაავადებები (იხ. ცხრილი №2, №3)<sup>1</sup>.

**ცხრილი №2**

<b>ზოგიერთი დაავადებების ავადობა მამაკაცებში სხულის მასის ინდექსის მიხედვით (სმი, BMI)</b>				
<b>დაავადება</b>	<b>სხეულის მასის ინდექსი</b>			
	<b>18,5-დან 24,9- მდე</b>	<b>25-დან 29,9- მდე</b>	<b>30-დან 34,9- მდე</b>	<b>40-ზე მეტი</b>
<b>გავრცელების კოეფიციენტი (%) (პრევალენსი)</b>				
<b>ტიპი 2 დიაბეტი</b>	2.03	4.93	10.10	10.65
<b>გულის იშემიური დაავადებები</b>	8.84	9.60	16.01	13.97
<b>მაღალი არტერიული წნევა</b>	23.47	34.16	48.95	64.53
<b>ოსტეოართრიტები</b>	2.59	4.55	4.66	10.04

**ცხრილი №3**

<b>ზოგიერთი დაავადებების ავადობა ქალებში სხულის მასის ინდექსის მიხედვით (სმი, BMI)</b>				
<b>დაავადება</b>	<b>სხეულის მასის ინდექსი</b>			
	<b>18,5-დან 24,9- მდე</b>	<b>25-დან 29,9- მდე</b>	<b>30-დან 34,9- მდე</b>	<b>40-ზე მეტი</b>
<b>გავრცელების კოეფიციენტი (%) (პრევალენსი)</b>				
<b>ტიპი 2 დიაბეტი</b>	2.38	7.12	7.24	19.89
<b>გულის იშემიური დაავადებები</b>	6.87	11.13	12.56	19.22
<b>მაღალი არტერიული წნევა</b>	23.26	38.77	47.95	63.16
<b>ოსტეოართრიტები</b>	5.22	8.51	9.94	17.19

*წყარო: ჯანმრთელობის და კვების შემოწმების ეროვნული მიმოხილვა (NHANES) III, 1988-1994.*

<sup>1</sup> ზოგიერთი გამოკვლევა იძლევა მნიშვნელოვან ეთნიკურ ვარიაციებს (Hedley, 2004 [C]; Ogden, 2002 [C]).

### 3. ეტიოპათოგენეზი

ჭარბი წონის და სიმსუქნის ძირითადი მიზეზი ენერგეტიკული დისბალანსია. ამ დისბალანსს განაპირობებს ან საკვებით მიღებული კალორიების სიჭარბე, ან ფიზიკური აქტიურობით დახარჯული ენერჯის შემცირება, ან ორივე ფაქტორი ერთად. თუ ენერგეტიკული ბალანსი არ დაირღვა ადამიანი არ მოიმატებს წონაში, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მისი გენეტიკური და სხვა მონაცემები. ის კონკრეტული მიზეზი, რომელიც ენერგეტიკულ დისბალანსს განსაზღვრავს სადღეისოდ საბოლოოდ დადგენილი არ არის. გამოკვლევათა ფართო სპექტრი მოიცავს პორმონალურ და მეტაბოლურ კვლევებს და ჰიპოთეზებს ქცევითი, ფსიქოლოგიური, სოციალური და გარემო ფაქტორების როლის შესახებ, თუმცა ჯერჯერობით ეს პროცესი შორს არის საბოლოო გადაწყვეტილებისაგან. სიმსუქნის რისკ-ფაქტორებს შორის აღსანიშნავია მაღალკალორიული დიეტა, საკვების ულუფის რაოდენობის გაზრდა, ფიზიკური აქტიურობის შემცირება და მჯდომარე ცხოვრების წესი (IV, V). სწორედ ეს ქცევითი და გარემო ფაქტორები იწვევენ საბოლოოდ ადიპოზური ქსოვილის სტრუქტურის ცვლილებას (ჰიპერტროფია, ჰიპერპლაზია, ანთეზა) და ცხიმოვანი უჯრედების სეკრეციის გაძლიერებას, რაც თავის მხრივ, საფუძვლად უდევს სიმსუქნით გამოწვეულ მეტაბოლურ და ცხიმის მასის ზრდით განპირობებულ პათოლოგიებს.

სიმსუქნის ჩამოყალიბებას ადრეულ ბავშვობაში თან ახლავს ცხიმოვანი ქსოვილის ჰიპერპლაზიის ფორმირება, რომელიც ხასიათდება ადიპოციტების რაოდენობრივი მატებით, მოზრდილებში კი ცხიმოვანი უჯრედების რიცხვი, ძირითადად, მუდმივია და სხეულის მასის მატებასთან ერთად ხდება ადიპოციტების ზომების შესაბამისი გადიდება (ჰიპერტროფია).

ძალზე მნიშვნელოვანია T.A. Manolio-სა და თანაავტორების გამოკვლევები, რომლებიც მიუთითებენ დაბადებისას ბავშვებში მცირე მასისა და წონის მატების დაბალი ტემპის შესაძლო პროგნოზულ მნიშვნელობაზე. იგი შეიძლება განსაზღვრავდეს ამ ბავშვებში ვისცერალური სიმსუქნის ჩამოყალიბების მაღალ ალბათობას ზრდასრულ ასაკში.

### 4. დიაგნოზი და შეფასება

სიმსუქნის დიაგნოზი მოიცავს ჭარბი წონის და სიმსუქნის ფაქტის დადგენას სხეულის მასის ინდექსის და/ან მუცლის გარშემოწერილობის საფუძველზე და თანმხლები დაავადებებისა და სიმსუქნის ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიკაციას.

#### *სხეულის მასის ინდექსის გამოთვლა*

სიმსუქნის დადგენა და ხარისხის შეფასება ხდება სხეულის მასის ინდექსის საფუძველზე, რაც წონის სიმაღლის კვადრატთან შეფარდებით გამოიანგარიშება ( $\text{კგ/მ}^2$ ) (III).

<b>სხეულის მასის ინდექსის გამოთვლა</b>
$\frac{\text{წონა}}{\text{სიმაღლე კვადრატში}} = \text{კგ/მ}^2$

სხეულის მასის 30-ზე მეტი ინდექსი სიმსუქნის მაჩვენებელია და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გაზრდილ რისკზე მიუთითებს.

სიმსუქნესთან დაკავშირებული რისკის შეფასება რეკომენდირებულია, ასევე, წელის გარშემოწერილობის საფუძველზე. წელის გარშემოწერილობა 102სმ-ზე მეტი მამაკაცებში და 88სმ-ზე მეტი ქალებში დიაბეტისა და კარდიოვასკულარული ავადობის გაზრდილ რისკზე მიუთითებს (IV).

გამოთვალეთ სხეულის მასის ინდექსი როგორც მინიმუმ ყოველწლიურად სკრინინგისთვის და იმდენჯერ, რამდენიც საჭიროა მკურნალობისას. დაახარისხეთ ის სხეულის მასის ინდექსის კატეგორიების მიხედვით. გაანათლეთ პაციენტები სხეულის მასის ინდექსის და მასთან დაკავშირებული რისკების შესახებ (McTigue, 2003 [D]).

### **სხეულის მასის ინდექსის შეფასება**

სხეულის მასის ინდექსის მნიშვნელობის მიხედვით ხდება სხეულის მასის კლასიფიცირება შემდეგი კატეგორიების მიხედვით: სხეულის მასის დეფიციტი, ნორმალური მასა, ჭარბი მასა, სიმსუქნე I ხარისხის, სიმსუქნე II ხარისხის და სიმსუქნე III ხარისხის ანუ უკიდურესი სიმსუქნე (იხ. ცხრილი №4).

### **ცხრილი №4**

#### **მოზრდილთა სხეულის მასის ინდექსის კატეგორიები**

<b>სხეულის მასის ინდექსი</b>	<b>კატეგორია</b>
18,5-ზე ნაკლები	სხეულის მასის დეფიციტი
18,5-24,9	ნორმალური წონა
25-29,9	ჭარბი წონა
30-34,9	სიმსუქნე – I ხარისხი
35-39,9	სიმსუქნე – II ხარისხი
40 ან მეტი	მორბილული სიმსუქნე – III ხარისხი

## **სხეულის მასის შეფასება მოზარდებში**

სხეულის მასის ინდექსი ბავშვებსა და მოზარდებში გამოითვლება ცენტრლებში, სანამ ბავშვი სიმაღლეში იზრდება. ეს ცენტრლები განსაზღვრულია “ჯანმრთელობის და კვების შეფასების ეროვნული გამოკვლევის კვლევის” (NHANES) მონაცემების მიხედვით. ჭარბი წონა განისაზღვრება როგორც 85%-ზე მეტი სხეულის მასის ინდექსი, სიმსუქნე განისაზღვრება, როგორც 95%-ზე მეტი სხეულის მასის ინდექსი, ხოლო სიმსუქნის უკიდურესი ფორმა განისაზღვრება, როგორც 99%-ზე მეტი სხეულის მასის ინდექსი გამომდინარე ასაკიდან. (იხ. დანართი 1 „სხეულის მასის მაჩვენებლების და ასაკის შეფარდება ცენტრლებში“.)

სხეულის მასის ინდექსის გაანგარიშება ხდება ზრდის პროცესში მყოფი პაციენტებისთვის, იმიტომ რომ ის უზრუნველყოფს საორიენტაციო მაჩვენებელს მომავალი შედარებისათვის. მართალია, ერთწლიანი პერიოდისათვის სხეულის მასის ინდექსის ცვლილების რაიმე სტანდარტები არ არსებობს, მაგრამ სწრაფი მატება ან კლება წარმოადგენს კლინიკურად საყურადღებო ნიშანს. განსხვავება 50 და 75 ცენტრლებს შორის იგივეა, რაც სხეულის მასის ინდექსის დაახლოებით ორიდან სამი ერთეულით სხვაობა მოზარდი გოგონებისათვის. მოზარდ ბიჭებს კი დაახლოებით სხეულის მასის ინდექსის ორი ერთეული ცენტრლით სხვაობა ახასიათებს. სამ ერთეულზე მეტი სხეულის მასის ინდექსის წლიური მატება გადაჭარბებულ მატებას გულისხმობს (Barlow, 1998 [D]).

სხეულის მასის ინდექსის არანორმალურად ან სწრაფად ცვლილების კლინიკური მნიშვნელობა შემდეგი მომენტების გათვალისწინებით ფასდება:

- სხეულის მასის ინდექსი არ აღწერს სიმსუქნის ფორმას. ის გამოყვანილი სიდიდე გახლავთ, რომელიც კარგ კორელაციაშია სხეულის მთლიან ცხიმთან და არის მეორადი გართულებების, მაგალითად ჰიპერტენზიის და დისლიპიდემიის მარკერი (Barlow, 1998 [D]);
- ძალიან მაღალი სხეულის მასის ინდექსი არ მიუთითებს სხეულში ცხიმის განაწილებაზე. ცენტრალური ან ვისცერალური (შიდა ორგანოების) ცხიმი დაავადებისა და სიკვდილის უფრო დიდ რისკს წარმოადგენს;
- წელის გარშემოწერილობა წარმოადგენს კიდევ ერთ დამატებით მონაცემს ვისცერალური სიმსუქნისა და კლინიკური რისკის შეფასებისათვის;
- მეტაბოლიზმის შეფასება მნიშვნელოვანია რისკის ქვეშ მყოფი პაციენტებისთვის, განსაკუთრებით თუ სახეზეა გულის დაავადების ოჯახური ანამნეზი ან შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2;
- მოზარდების სიმსუქნესთან დაკავშირებული კლინიკური დაავადებები ნაჩვენებია მე-5 ცხრილში:



მოზარდების სიმსუქნესთან დაკავშირებული კლინიკური დაავადებები\*

ისტორია	ფიზიკური	დაავადება
შეფერხება განვითარებაში	დისმორფული თავისებურებები	გენეტიკური მოშლილობა, მაგალითად პრადერ-უილის სინდრომი, ლოურენს მუნ-ბიდლის სინდრომი
ზრდაში ჩამორჩენა	დაბალი ტანადობა	ჰიპოთირეოიდიზმი, კუშინგი, ზრდის ჰორმონების დეფიციტი
ღამით სუნთქვის გაძნელება	გადიდებული ნუშურები	ძილის აპნოე, ჰიპოვენტილაციური სინდრომი
ვარჯიშის გაძნელება	მსტვენავი სუნთქვა	ასთმა
“აკანტოზის ნიგრიკანს” (იმიგრანტი)	აკანტოკერატოდერმია	ინსულინისადმი რეზისტენტობა, შაქრიანი დიაბეტი ტიპი2.
ბარძაყის/მუხლის ტკივილი	ბარძაყის არეში მოძრაობის შეზღუდვა	ბარძაყის ძვლის მთლიანი ეპიფიზოლიზი
ამენორეა	ჰირსუტიზმი (ჭარბთმინობა) აკანტოკერატოდერმია, ინსულინისადმი რეზისტენტობა	პოლიკისტოზური საკვერცხეების სინდრომი
თავის ტკივილები	თვალის ოპტიკური დისკის ცვლილებები	თავის ტვინის ფსევდო სიმსივნე
მუცლის ტკივილები	მუცლის მარჯვენა ზედა კვადრანტის მგრძნობელობა	ნაღვლის ბუშტის დაავადება

\* ასევე მოზარდთა სიმსუქნესთან დაკავშირებული მეტად მნიშვნელოვანი კლინიკური ნიშნებია დეპრესია, შფოთვა, კვების მოშლილობა და სქესობრივი ძალადობა და უნდა შეფასდეს განწყობის დისფუნქციების, სასკოლო წარმატებების, თანატოლებში ურთიერთობის და კვების ტიპებთან მიმართებაში.

## **წელის გარშემოწერილობა**

კლინიკისტებს შეუძლიათ გამოიყენონ წელის გარშემოწერილობა როგორც ვისცერალური სიმსუქნის საზომი. 102 სმ ან მეტი წელის გარშემოწერილობის მქონე მამაკაცები ან 88 სმ ან მეტი წელის გარშემოწერილობის მქონე ქალები არიან კარდიოვასკულარული დაავადებების და სხვა დაავადებების (როგორცაა ძილის დარღვევები და დიაბეტი) გაზრდილი რისკის მქონენი (Lean, 1998 [D]).

სხეულის მასის ინდექსი იძლევა ინფორმაციას სიმსუქნის შესახებ, მაგრამ ეს ინფორმაცია შეიძლება შეივსოს დამატებითი ინფორმაციით წელის გარშემოწერილობის შესახებ. ნახევნები იყო, რომ სხეულის მასის ინდექსი წარმოადგენს ჯანმრთელობის მდგომარეობის ზუსტ წინასწარ განმსაზღვრელს, ხოლო მომატებული სხეულის მასის ინდექსი ზრდის კარდიოვასკულარული დაავადებების, კარდიოვასკულარული სიკვდილის, ზოგადი ლეტალობის, შაქრიანი დიაბეტის ტიპი 2-ის, ძილის დარღვევების და უამრავი სხვა კლინიკური დაავადების რისკს (Balkau, 2007 [D]). მომატებული წელის გარშემოწერილობა ასევე წინასწარ გვამცნობს პათოლოგიების უმრავლესობის შესახებ (Balkau, 2007 [D]; Davidson, 2008 [D]). ამჟამად დებატები მიმდინარეობს იმის თაობაზე, წარმოადგენს თუ არა წელის გარშემოწერილობა დამატებით ინფორმაციას, როდესაც იზომება სხეულის მასის ინდექსთან ერთად. არის გარკვეული ფაქტები იმისა, რომ პაციენტთა ზოგ ქვეჯგუფში წელის გარშემოწერილობა იძლევა დამატებით ინფორმაციას ჯანმრთელობის მომავალი მდგომარეობის შესახებ (Janssen, 2002 [D]; Koster, 2008 [D]).

თუმცა, არსებობს ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია როგორც სხეულის მასის ინდექსის, ასევე წელის გარშემოწერილობის რეგულარულ გაზომვასთან. სხეულის მასის ინდექსის გაზომვა მოითხოვს მათემატიკურ გამოთვლას, რომელიც სიმაღლესა და წონაზეა დამყარებული. ამრიგად, სხეულის მასის ინდექსი შეიძლება ავტომატურად იქნეს გამოთვლილი ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების (EMR) სისტემის ფარგლებში. წელის გარშემოწერილობის გაზომვა კი მოითხოვს დამატებით დროს პირველად ჯანდაცვაში, ამიტომ გაზომვები შეიძლება არაზუსტი ან ცვალებადი იყოს. საჭიროა კლინიკების პერსონალის იმ წევრთა სისტემატური სწავლება, რომლებიც აწარმოებენ წელის გარშემოწერილობის გაზომვას (Panoulas, 2008 [C]).

ამ კუთხით, სხეულის მასის ინდექსის მონაცემების სისტემატური და პერიოდული შეფასება და ამ ინფორმაციის გამოყენება სასარგებლოა რისკების შეფასებისა და ინტერვენციის წარმართვისათვის. სამუშაო ჯგუფის აზრით, წელის გარშემოწერილობის გაზომვა გამოსადეგია კონკრეტულ კლინიკურ შემთხვევებში, მაგრამ ის არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც რუტინული, კლინიკაზე დაფუძნებული ღონისძიება, სანამ არ იქნება დამატებითი მონაცემები, თუ რამდენად სასარგებლოა წელის გარშემოწერილობა, როგორც კლინიკური ნიშანი და არ იქნება დამტკიცებული, რომ დამატებითი ხარჯები სტანდარტულ (რუტინულ) საფუძველზე ჩატარებული წელის გარშემოწერილობის გაზომვებისათვის გადაიქცევა კლინიკურ სარგებლად მაღალი სხეულის მასის ინდექსის მქონე პაციენტთათვის, ან მათთვის, ვისაც ნორმალური სხეულის მასის ინდექსი აქვთ (Freiberg, 2008 [C]; Klein, 2007 [R]).

წელის გარშემოწერილობა წარმოადგენს დამატებით რისკ-ფაქტორს სიმსუქნესთან დაკავშირებული გართულებებისათვის იმ მამაკაცებში, რომელთათვის მიღებული სიდიდე 102 სმ ტოლი ან მეტია, და იმ ქალებისთვის, რომელთათვის მიღებული სიდიდე 88 სმ ტოლი ან მეტია. მართალია, სამუშაო ჯგუფს შეგნებული აქვს წელის გარშემოწერილობის გაზომვისას აღმოცენებული პოტენციური სირთულეები, ფაქტები გვიჩვენებს წელის გარშემოწერილობის გაზომვის მნიშვნელობას სხვა რისკ-ფაქტორების არსებობის გამო (Lean, 1998 [D]; Yusuf, 2005 [C]).

### **წელის გარშემოწერილობის გაზომვის ბაზოგვა**

წელის გარშემოწერილობის გაზომვისათვის დაადგინეთ ბარძაყის ძვლების ზედა (ბარძაყის ძვლების თავები) ადგილმდებარეობა. განათავსეთ სანტიმეტრი ჰორიზონტალურ სიბრტყეში მუცლის გარშემო თეძოს გარშემოწერილობის დონეზე. სანტიმეტრის მონაცემების წაკითხვამდე დარწმუნდით, რომ ის მჭიდროდაა მიღებული, მაგრამ არ აწვება კანს და იატაკის პარალელურია. გაზომვა კეთდება ნორმალური ამოსუნთქვის ბოლოს. (წყარო: გულის, ფილტვისა და სისხლის ეროვნული ინსტიტუტი).

### **თანმხლები დაავადებების შეფასება**

#### **საკვანძო პუნქტები:**

- მნიშვნელოვანია სხვა დაავადებების შეფასება, ვინაიდან მათმა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მკურნალობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებსა და შედეგებზე;
- წელის გარშემოწერილობა, რომელიც 102 სმ ტოლი ან მეტია მამაკაცებში და 88 სმ ტოლი ან მეტია ქალებში, წარმოადგენს დამატებით რისკ-ფაქტორს სიმსუქნესთან დაკავშირებული გართულებებისათვის;
- დეპრესიებისათვის და კვების დარღვევებისათვის, თუ შესაძლებელია, უნდა ჩატარდეს მოკლე სკრინინგი;
- შეფასება უნდა მოიცავდეს სრულ სამედიცინო ანამნეზს, რათა მოხდეს იმ მედიკამენტების იდენტიფიცირება, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ წონის მომატება ან წონის კლების შეფერხება.

თანხმლები დაავადებების შეფასება

თანხმლები დაავადებები	სხეულის წონის ინდექსი (სმ0)			
	25-30	30-35	35-40	40+
0	კონსულტირება-განათლება: • ცხოვრების წესის შეცვლა • ქცევის მენეჯმენტი	კონსულტირება-განათლება: • ცხოვრების წესის შეცვლა • ქცევის მენეჯმენტი • მედიკამენტური თერაპია	კონსულტირება-განათლება: • ცხოვრების წესის შეცვლა • ქცევის მენეჯმენტი • მედიკამენტური თერაპია	კონსულტირება-განათლება: • ცხოვრების წესის შეცვლა • ქცევის მენეჯმენტი • მედიკამენტური თერაპია • ქირურგიული ჩარევა
1-2 ნაკლებ მნიშვნელოვანი თანხმლები დაავადება	კონსულტირება-განათლება: • ცხოვრების წესის შეცვლა • ქცევის მენეჯმენტი	კონსულტირება-განათლება: • ცხოვრების წესის შეცვლა • ქცევის მენეჯმენტი • *მედიკამენტური თერაპია	კონსულტირება-განათლება: • ცხოვრების წესის შეცვლა • ქცევის მენეჯმენტი • მედიკამენტური თერაპია • ქირურგიული ჩარევა	კონსულტირება-განათლება: • ცხოვრების წესის შეცვლა • ქცევის მენეჯმენტი • მედიკამენტური თერაპია • ქირურგიული ჩარევა
მნიშვნელოვანი თანხმლები დაავადებები ან 3 ნაკლებ მნიშვნელოვანი თანხმლები დაავადება	კონსულტირება-განათლება: • ცხოვრების წესის შეცვლა • ქცევის მენეჯმენტი • მედიკამენტური თერაპია მხოლოდ BMI-ს 27-ზე მეტი ინდექსის მქონე პაციენტთათვის	კონსულტირება-განათლება: • ცხოვრების წესის შეცვლა • ქცევის მენეჯმენტი • მედიკამენტური თერაპია	კონსულტირება-განათლება: • ცხოვრების წესის შეცვლა • ქცევის მენეჯმენტი • მედიკამენტური თერაპია • ქირურგიული ჩარევა	კონსულტირება-განათლება: • ცხოვრების წესის შეცვლა • ქცევის მენეჯმენტი • მედიკამენტური თერაპია • ქირურგიული ჩარევა

ნაკლებად მნიშვნელოვანი თანხმლები დაავადებები

- სიგარეტის მოწევა
- ჰიპერტენზია (სისხლის წნევა 140/90-ზე მეტი ან ტოლი) ან ანტიჰიპერტენზიული საშუალებების მიმდინარე მოხმარება+
- LDL-ქოლესტერინი > 130მგ/100მლ
- HDL-ქოლესტერინი <40მგ/100მლ მამაკაცებისთვის; < 50მგ/100მლ ქალებისთვის.+
- პრედიაბეტი\*+
- ადრეული კორონარული დაავადებების ოჯახური ანამნეზი
- 65 წელზე მეტი ასაკის მამაკაცებისთვის
- 55 წელზე მეტი ასაკის ქალებისთვის ან მენოპაუზის მქონე ქალებისთვის.

## მნიშვნელოვანი თანმხლები დაავადებები

- წელის გარშემოწერილობა (მამაკაცები 102 სმ, ქალები 88 სმ).+
- დადგენილი კორონარული არტერიული დაავადება
  - ანამნეზში მიოკარდიუმის ინფარქტი
  - ანამნეზში ანგიოპლასტიკა
  - ანამნეზში აორტოკორონარული შუნტირება
  - ანამნეზში მწვავე კორონარული სინდრომები
- პერიფერიული ვასკულარული დაავადებები
- მუცლის აორტის ანევრიზმა
- საძილე არტერიის დაავადება
- შაქრიანი დიაბეტი, ტიპი 2
- ობსტრუქციული ძილის აპნოე.

---

\* ტერმინი პრედიამბეტი ბოლო დროს იყო ადაპტირებული ამერიკის დიაბეტის ასოციაციის და სხვების მიერ, და ეხება იმათ, ვისაც აქვს უზმოზე გლუკოზის დონე 100 მგ/მლ-დან 125 მგ/მლ-მდე, ასევე იმათ, ვისაც გლუკოზის ტოლერანტობის ტესტის სიდიდე 140 მგ/მლ-დან 200 მგ/მლ-მდე აქვთ (75გრ. გლუკოზით დატვირთვის 2 საათის შემდეგ.)

+ ამ სიმპტომების დაჯგუფება აღწერილია როგორც მეტაბოლური სინდრომი. არსებობს რამოდენიმე ფორმალური განსაზღვრება (de Ferranti, 2004 [C]; National Heart, Lung and Blood Institute, 2003 [R]; World Health Organization, 2004 [R]; დ.ვირსალაძე-“მეტაბოლური სინდრომი –რეალობა და პერსპექტივები.” 2001წ.)

## დეპრესიის სპრინგები

ფაქტები, რომლებიც გვიჩვენებს კავშირს დეპრესიასა და სიმსუქნეს შორის, ერთობ შერეულია (DiPietro, 1992 [B]; Friedman, 1995 [D]; Jorm, 2003 [D]; Roberts, 2003 [B]). დეპრესია აღმოჩენილია ძალიან მსუქან ადამიანებში, განსაკუთრებით ახალგაზრდა, სხეულის ულამაზო ფორმის მქონე ქალბატონებში (Dixon, 2003 [C]; Onyike, 2003 [D]). ძნელი გამოსაკვლევიან, მეორადია თუ არა დეპრესია სიმსუქნისათვის ან არსებული თანმხლები დაავადებისათვის (Stunkard, 2003 [R]).  
wonis dakargva xSirad iwvevs depresiis maCveneblebis gaumjobesebas (Dixon, 2003 [C]).

დეპრესია უფრო ხშირად გვხვდება მსუქან ქალებში და თინეიჯერებში და შედარებით ნაკლებად მამაკაცებში (Istvan, 1992 [D]; Jorm, 2003 [D]; Palinkas, 1996 [C]; Stunkard, 2003 [D]). ხანდაზმულებში დეპრესია ხშირად ასოცირდება წონის დაკარგვასთან, მაშინ როცა ახალგაზრდა ქალებში ის შეიძლება დაკავშირებული იყოს წონის მატებასთან (DiPietro, 1992 [B]).

დეპრესია ასოცირებულია წონის დაკლების ცუდ შედეგებთან (Linde, 2004 [C]). დეპრესიის ან შფოთვითი დიაგნოზის მქონე პაციენტები, რომელნიც იტარებენ ბარიატრიულ ქირურგიულ ჩარევას, იმყოფებიან წონის აღდგენის დიდი რისკის ქვეშ, ოპერაციის შემდგომ, პირველი ხუთი წლის პერიოდის განმავლობაში (Waters, 1991 [D]). ეს ფენომერი შეიძლება აიხსნას რიგი კვლევებით, რომელნიც იკვლევდნენ კავშირებს დეპრესიულ სიმპტომებსა და მომატებულ სიმსუქნესა და

წონის ზრდას შორის. (Miller, 2003 [C]). მიზანშეწონილია მეტი გამოკვლევების ჩატარება ამ საკითხთან მიმართებაში.

დეპრესიის სკრინინგი მოიცავს კითხვებს:

ბოლო თვის განმავლობაში:

- დაგიკარგავთ თუ არა ინტერესი ან სიამოვნება რაღაცის კეთებისას?
- ცუდი გუნება-განწყობა, უიმედობა?

თუ პაციენტები დადებითად პასუხობენ ზემოთ მოყვანილი კითხვებიდან ერთს მაინც, უნდა შეფასდეს მისი შემდგომი კლინიკური შეფასების აუცილებლობა ღრმა დეპრესიაზე.

### **კვების დარღვევების სკრინინგი**

ბუღემიამ (მომატებული მადის ფონზე ჭარბმა კვებამ), განსაკუთრებით იმპულსურმა გაუმაძღრობამ (ჭამის არაზომიერმა მოთხოვნილებამ) შეიძლება გაართულოს სიმსუქნის მკურნალობა.

კვების დარღვევების სკრინინგი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ კითხვებს:

- მივიღიათ თუ არა საჭმელი დიდი რაოდენობით დროის მოკლე პერიოდში – ანუ იღებთ თუ არა მეტ საკვებს?
- აგრძელებთ თუ არა ჭამას დანაყრების შემდეგ?
- როდესაც ზედმეტ საკვებს მიიღებთ, რას აკეთებთ (მაგალითად, ხომ არ გიცდიათ „მოიშორეთ“ თქვენს მიერ ჭამისას მიღებული ზედმეტი კალორიები, საფადართო საშუალებების მიღებით? დიურეტიკების (შარდმდენი ტაბლეტების) მიღებით? სიგარეტის მოწვეით? ნარკოტიკების, მაგალითად კოკაინის ან მეთამფეტამინის მიღებით? ღებინების გამოწვევით?)

თუ პაციენტი ზემოთ მოცემული კითხვებიდან ერთზე მაინც დადებითად პასუხობს, უნდა დაიგეგმოს მომდევნო ვიზიტი ან მიმართვის საკითხი დიეტოლოგთან ან ფსიქოლოგთან, რომელიც სპეციალიზირებულია კვების დარღვევებზე ან კვების ფსიქოლოგიაზე.

### **მედიკამენტები, რომელიც ხელს უწყობს წონის მომატებას**

მსუქანი პაციენტების შეფასება უნდა მოიცავდეს სრულ სამედიცინო ანამნეზს იმ მედიკამენტების შესახებ, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს წონის მომატება ან წონის დაკლების შეწყვეტა. არასტეროიდული ანთებისსაწინააღმდეგო წამლები და კალციუმის არხის ბლოკერები უფრო პერიფერიულ შემუპებას იწვევენ, ვიდრე სხეულის წონის მომატებას. აივ-პროთეაზის ინჰიბიტორი ასოცირებულია ლიპოდისტროფიასთან (ცენტრალურ სიმსუქნესთან), ვინაიდან ეს რეალურად ცვლილებაა უფრო სხეულის ცხიმის განაწილებაში, ვიდრე სხეულის წონის მომატება. თუ შესაძლებელია, უნდა შეირჩეს ალტერნატიული მედიკამენტური მკურნალობა რომელიც წონის მატებასთან მიმართებაში ნეიტრალურია ან რომელიც წონის კლებას იწვევს (Ganguli, 1999 [D]; Kushner,

2003b [D]; Vanina, 2002 [D]). ქალებსა და კლინიციტებში ზოგადად არსებობს რწმენა იმისა, რომ არის კავშირი ჰორმონალური კონტრაცეპტივების კომბინაციის გამოყენებასა და წონის მომატებას შორის. ამის გამო შეიძლება ზოგიერთი ქალი თავს არიდებდეს ჰორმონალური კონტრაცეპტივების მიღების დაწყებას ან მედიკამენტური მკურნალობის ნაადრევ შეწყვეტას. 42 კლინიკური კვლევით (მათ შორის სამი შემთხვევა-კონტროლირებადი, პლაცებო-კონტროლირებადი) უახლესმა მიმოხილვამ ვერ აღმოაჩინა პირდაპირი კავშირი ორალური კონტრაცეპტივების მიღებასა და წონის მატებას შორის. კვლევის ავტორები მივიდნენ დასკვნამდე, რომ არსებული ფაქტები არასაკმარისია, იმისათვის, რომ დადგინდეს კონტრაცეპციის გავლენა წონაზე, თუმცა მცირე მატება მაინც აშკარაა (Gallo, 2004 [D]). (იხ. დანართი 2)

### **ანტიდიაბეტური მედიკამენტური მკურნალობა**

რამდენიმე მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს წონის მატებას, ასოცირებულია ანტიდიაბეტურ პრეპარატებთან, მათ შორის:

- ჰიპერგლიკემიის კორექცია, რომელსაც მიყვავართ კატაბოლური მდგომარეობის აღმოფხვრამდე და ცხიმის აღდგენამდე;
- ჰიპერგლიკემიის კორექცია, რომელსაც მიყვავართ გლუკოზურიის აღმოფხვრამდე და კალორიების შემცირებამდე, რომლებიც მანამდე იკარგებოდა;
- ჰიპოგლიკემია, რომელიც გამოიხატება მადის სტიმულირებით;
- ინსულინით გამოწვეული (ენდოგენური და ეგზოგენური) ლიპოლიზის შეფერხება და ლიპოგენეზის სტიმულირება;
- ალიპოციტების (ცხიმის უჯრედები) დიფერენციაცია;
- სითხის შეკავება და შეშუპება.

### **ინსულინი**

რამდენიმე ხანმოკლე და გრძელვადიანმა კვლევამ დაადგინა ინსულინის კავშირი წონის მატებასთან. დიაბეტის კონტროლის და გართულების კვლევამ (DCCT) აჩვენა, რომ ინსულინით ინტენსიური მკურნალობა იწვევს წონის მნიშვნელოვან მომატებას ტრადიციულ თერაპიასთან შედარებით. (The Diabetes Control and Complications Trial Research Group, 1993 [A]). ხუთი წლის მკურნალობის ინტენსიური კურსის ჩატარების შემდეგ ჯგუფში შემავალი პაციენტები იმატებდნენ საშუალოდ 4,6 კგ-ზე მეტს, ვიდრე ტრადიციული თერაპიის ჯგუფში. წონის მატება გრძელდებოდა DCCT-ის კოჰორტაზე მომდევნო დაკვირვებისას და ბევრ პაციენტს გამოუვლინდა მეტაბოლური სინდრომის დამახასიათებელ ნიშნები (Purnell, 1998 [A]; Williams, 1999 [B]).

### **ინსულინის სეკრეციის სტიმულატორი**

წონის მატება წარმოადგენს ნატეგლინიდით და რეპაგლიდინით მკურნალობის კარგად ცნობილ გვერდით ეფექტს.

## მეტფორმინი

მეტფორმინი წარმოადგენს ნახშირწყლოვანი ცვლის მარეგულირებელ მედიკამენტს, მაგრამ უფრო ხანგრძლივი მიღებისას ის რეალურად წონის მიმართ ნეიტრალური გახლავთ. მეტფორმინი გამოიყენება უპირატესად მსუქან პაციენტებში ანტიდიაბეტურ პრეპარატებთან კომბინაციაში, (Fonseca, 2000b [A]). მეტფორმინის და თიაზოლიდინდიონების კომბინაციამ შეიძლება შეამციროს წონის მატება, რომელიც ასოცირებულია თიაზოლიდინდიონთან (Fonseca, 2000b [A]; Gomez-Perez, 2002 [A]). ინსულინთან კომბინაციაში მეტფორმინი იწვევს გლიკოჰემოგლობინის (HbA1c) მაჩვენებლის რეგულაციას და წონაში ნაკლებად მომატებას, ვიდრე ინსულინით მონოთერაპია (Avilés-Santa, 1999 [A]; Yki-Järvinen, 1999 [A]).

## α-გლუკოზიდაზის ინჰიბიტორები

α-გლუკოზიდაზის ინჰიბიტორები (მაგალითად, აკარბოზა და მიგლიტოლი) აფერხებენ ნახშირწყლების შეწოვას წვრილ ნაწლავში, რაც გამოიხატება ჭამის შემდგომი პოსტპრანდიალური გლიკემიის დონის შემცირებაში. ეს პრეპარატები არ ასოცირდება წონის მატებასთან.

## თიაზოლიდინდიონები

კლინიკური კვლევების მეშვეობით დადგინდა, რომ თიაზოლიდინდიონებით მკურნალობა შეიძლება ასოცირებული იქნეს წონის მატებასთან (Fonseca, 2003 [R]). თუმცა, გლიკემიის კონტროლი და ინსულინის მიმართ მგრძობელობა უმჯობესდება თიაზოლიდინდიონების თერაპიისას. არსებობს დადებითი კორელაცია სხეულის წონის მატებას, თიაზოლიდინდიონების გამოყენებასა და HbA1c-ს შემცირებას შორის. წონის მატება აშკარად სტაბილური ხდება HbA1c-ს საწყისი შემცირების შემდეგ (Fonseca, 2003 [R]). ყველაზე მკვეთრი წონის მატება ხდება მაშინ, როცა თიაზოლიდინდიონები გამოიყენება ინსულინთან ან სმ (სულფანილმარდოვანასთან) კომბინაციაში და ნაკლებია, როდესაც გამოიყენება მონოთერაპიისას ან მეტფორმინთან კომბინაციაში (Fonseca, 2000b [A]).

## თიაზოლიდინდიონებით გამოწვეული წონის მატების მექანიზმები

- ლიპოგენეზის რეცეპტორთა შებოჭვა, ცხიმის უჯრედების პროლიფერაცია, ცხიმის გადანაწილება კანქვეშა ცხიმის ქსოვილის მომატებით და ვისცერული ცხიმის შემცველობის შემცირება;
- ლეპტინების პროდუქციის შეკავება და მომატებული მადა;
- შემცირებული გლუკოზურია და კალორიები;
- მკაცრი დიეტის დარღვევა;
- სითხის შეკავება და შეშუპება თირკმელში ნატრიუმის რეზორბციის სტიმულაციით, სიმპათიკური ნერვული სისტემის მომატებული აქტიურობა და ქსოვილში იონთა შეცვლილი ტრანპორტირება.

წონის მომატების მინიმალიზირებასთან დაკავშირებული ინტერვენცია, რომელიც ასოცირებულია თიაზოლიდინდიონების გამოყენებასთან



- სწავლება (განათლება) კვების და ფიზიკური აქტიურობის შესახებ მედიკამენტური მკურნალობის დანიშნისას;
- კალორიების შეზღუდვა მაღალი რისკის მქონე პაციენტებში, როგორცაა განსაკუთრებით მსუქანი ადამიანები, რომლებიც ვერ ახერხებენ ფიზიკურ აქტიურობაში მონაწილეობას, აქტიურობას და რომლებიც ერთდროულად ღებულობენ ინსულინს და სულფანილმარდოვანას;
- დაბალკალორიული დიეტა მეტფორმინით, დანიშნულია მებრ.

წონის მატება ხდება დიაბეტის მედიკამენტური მკურნალობის უმეტეს შემთხვევაში. წონის მომატება ზოგადად ასოცირებულია თიაზოლიდინდიონებთან და შეიძლება გააკონტროლდეს დიეტური ჩარევით (Asnani, 2003 [D]). მართალია, თიაზოლიდინდიონებმა შეიძლება გამოიწვიოს წონის მატება, მაგრამ მას ასევე შეუძლია გააუმჯობესოს ინსულინის მიმართ მგრძობელობა და ხელი შეუწყოს ცხიმის სასურველ გადანაწილებას. მეტფორმინისა და თიაზოლიდინდიონების კომბინაცია არ იწვევს დამატებით წონის მატებას და შეიძლება დამატებითი ეფექტი იქონიოს ინსულინის მიმართ მგრძობელობაზე (Fonseca, 2003 [D]).

### **ფსიქოტროპული მედიკამენტები, რომლებიც ასოცირებულია წონის მატებასთან**

ზოგიერთი მედიკამენტი, რომლებიც ზოგადად გამოიყენება ფსიქოზის, დეპრესიის და ეპილეფსიის მკურნალობისას, იწვევს წონის მნიშვნელოვან მომატებას. წონის მატებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს პაციენტის მიერ რეჟიმის დაცვაზე. ანტიფსიქოტროპული (ნეიროლეპტიკური) საშუალებები, როგორცაა რისპერიდონი, სერტინდოლი, ოლანზაპინი და კლოზაპინი, იწვევენ წონის მომატებას დიაპაზონში 2,1-4,5 კგ თერაპიის 10 დღიანი კურსის შემდეგ. ცნობილია, რომ ზიპრაზიდონი იწვევს მხოლოდ წონის მცირე მომატებას (0,04კგ), წონის მატების განმაპირობებელი მექანიზმი ჯერჯერობით უცნობია (Allison, 1999 [D]).

სიმსუქნისა და დიაბეტის დროს, რეკომენდებულია წონის მონიტორინგი 4, 8 და 12 კვირის განმავლობაში ნეიროლეპტიკური თერაპიის დაწყების ან შეცვლის შემთხვევაში, და შემდეგ კვარტალში ერთხელ რეგულარულად. თუ პაციენტი საკუთარი წონის 5%-ს ან უფრო ბევრს იმატებს, მაშინ უნდა განიხილებოდეს პრეპარატების შეცვლის ვარიანტი (American Diabetes Association, 2004 [D]).

ანტიდეპრესანტებს შორის მნიშვნელოვანი წონის მატების რისკი ყველაზე მაღალია ტრიციკლურ, მონოამინოქსიდაზას ინჰიბიტორებსა და მირტაზაპინის შემთხვევაში (Fava, 2000 [D]; Masand, 2000 [D]). ნეფაზოდონი თითქოსდა წონის მიმართ ნეიტრალურია, ხოლო ბუპროპიონის შესახებ ცნობილია, რომ ის იწვევს წონის მცირეოდენ კლებას. (Croft, 2002 [A]).

ცნობილია, რომ ეპილეფსიის საწინააღმდეგო ვალპროატი (Isojärvi, 1996 [C]) და გაბაპენტინი (De Toledo, 1997 [D]) იწვევენ წონის განსაკუთრებულ მომატებას. ლამოტრიგინი სავარაუდოდ წონის მიმართ ნეიტრალურია. 32 კვირიან კვლევებში ლამოტრიგინმა გამოიწვია წონის საშუალო მომატება 0,6 კგ-მდე ვალპროატის

შემთხვევაში 5,8 კგ-ის მომატებასთან შედარებით (Biton, 2001 [A]). მართალია, საჭიროა მომდევნო კვლევების ჩატარება, მაგრამ ტოპირამატი, როგორც ჩანს, არის უნიკალური ეპილეფსიის საწინააღმდეგო საშუალება, რომელიც რეალურად იწვევს წონის შემცირებას. არაკონტროლირებადი ერთწლიანი კვლევისას გამოვლინდა, რომ მსუქანი პაციენტები (სხეულის მასის ინდექსი 30-ზე მეტი), რომლებმაც დაასრულეს ერთწლიანი თერაპიის კურსი, განიცდიდნენ წონის საშუალო კლებას 4,2 კგ-მდე (4,3% ძირითადიდან) 3 თვის შემდეგ და 10,9 კგ-მდე (11,0%) ერთი წლის განმავლობაში (Ben-Menachem, 2003 [D]). აშკარაა, რომ ამ პრეპარატებს შორის გაკეთებულ არჩევანს შეუძლია დიდი ზემოქმედების მოხდენა პაციენტთა წონის კონტროლზე (Weiglss, 2003 [D]).

## **5. ჭარბი წონის და სიმსუქნის მკურნალობა და ხანგრძლივი მეთვალყურეობა**

ოპტიმალური წონის შენარჩუნება, ჭარბი წონისა და სიმსუქნის მართვა და მკურნალობა მოითხოვს პაციენტის ღრმა მოტივაციას, გულმოდგინე შრომას და ექიმთან მჭიდრო თანამშრომლობას.

ჭარბი წონისა და სიმსუქნის მკურნალობა და მართვა მოიცავს ცხოვრების წესის შეცვლის ღონისძიებებს და მედიკამენტურ მკურნალობას.

### **პაციენტის მზადყოფნის შეფასება**

- პაციენტის მზადყოფნის შეფასება საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ მისი მოტივაციის დონე, რაც გვეხმარება კომუნიკაციის უკეთ წარმართვაში;
- პაციენტს ევალება დასახოს რეალური, მიღწევადი მიზნები და იყოს პასუხისმგებელი ახალ ქცევაზე, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება წონის დაკლება და შენარჩუნება.

### **ცხოვრების წესის შეცვლა**

წონის მართვა ხელსაყრელია. პაციენტმა უნდა დასახოს მიღწევადი მიზნები და პასუხისმგებლობით მოეკიდოს მის მიღწევას. წონის წარმატებული მართვისთვის მნიშვნელოვანია კონკრეტული ქცევის პროგრესის შესახებ ჩანაწერების წარმოება ან თვითმონიტორინგი. კალორიების შემცირების სტრატეგია გულისხმობს საკვებში მეტი ხილისა და ბოსტნეულის გამოყენებას, მისაღები კალორიების და ულუფის შემცირებას, ჯანსაღი არჩევანის გაკეთებას მაღაზიის დახლოებულ და საზოგადოებრივ ადგილებში. აუცილებელია პროცესში ყოველდღიურად მეტი ფიზიკური აქტიურობის ჩართვა.

პაციენტებმა და ექიმებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ნაკლები კვება და მეტი ფიზიკური აქტიურობა დღევანდელ დროში ძალიან წასახალისებელია, პროცესი ადვილი დასაძლევია, თუ პაციენტს სწამს, რომ აქვს ნებისყოფა. ცუდია თუ ის

ფიქრობს, რომ უნდა შეწყვიტოს თავისი საყვარელი ყველა პროდუქტის მიღება და საათობით აკეთოს მოსაწყენი ვარჯიში.

ექიმმა უნდა იხელმძღვანელოს „5 A“-ს პრინციპით (**Ask**-შეკითხე, **Advise**-ურჩიე, **Assist**-დაეხმარე, **Assess**-შეაფასე, **Arrange**-მონიტორირება გაუწიე). წარმატებული მართვის მისაღწევად მეტად ეფექტურია პროცესში ექიმის ჩართვა, მას შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა.

- **Ask** - შეკითხე და შეაფასე წონა/სიმაღლე. პაციენტს, უმჯობესია საწყის ეტაპზე განესაზღვროს წონა და გამოეთვალოს სხეულის მასის ინდექსი. პაციენტები ინფორმირებული უნდა იყვნენ თავიანთი სხეულის მასის ინდექსის და რისკის სტატუსის შესახებ;
- **Advise** - ურჩიეთ წონაში დაკლება. გარკვევით, მკვეთრად, მაგრამ დელიკატურად აიძულეთ ყველა ჭარბი წონის მქონე ან მსუქანი პაციენტი წონაში დაიკლოს;
- **Assess** - შეაფასეთ წონაში დაკლებისათვის მზადყოფნა. ყველა ჭარბი წონის მქონე ან მსუქანი პაციენტს შეეკითხეთ მზად არის თუ არა იგი წონაში დაკლების მცდელობისათვის, მაგალითად მომდევნო 30 დღის განმავლობაში;
- **Assist** - დაეხმარე წონაში დაკლების მცდელობაში. დაეხმარეთ პაციენტს წონაში დაკლების გეგმის შემუშავებაში. ასწავლეთ შესაბამისი წყაროები;
- **Arrange** - მონიტორირება გაუწიე. დაგეგმეთ შემდგომი ვიზიტი ადგილზე ან ტელეფონის მეშვეობით.

### **ASK-შეკითხე**

შეკითხეთ და განსაზღვრეთ სიმაღლე, წონა და გამოთვალეთ სხეულის მასის ინდექსი.

### **ADVICE-ურჩიეთ წონაში დაკლება**

ნორმალური წონის მქონე პაციენტებს უნდა ეურჩიოთ ჯანსაღი კვება და ფიზიკური აქტიურობა, რათა სამომავლოდ თავიდან ავიცილოთ ჭარბი წონასთან დაკავშირებული პრობლემები. თუ პაციენტს აღენიშნება ჭარბი წონა ან სიმსუქნე, ექიმი ვალდებულია ღიად ესაუბროს მას აღნიშნული პრობლემის შესახებ და მისცეს წონის დაკლების რეკომენდაციები. კვლევებით დადგენილია, რომ ექიმის მიერ მიცემული რეკომენდაციების ფონზე წონაში დაკლების მცდელობა უფრო მარტივად მიიღწევა. წონაში დაკლების წარმატებული მცდელობის შემთხვევები სამჯერ უფრო მეტი იყო იმ პაციენტებთან შედარებით, რომლებსაც ექიმისგან არ მიუღიათ რეკომენდაციები აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით (Abid, 2005[M]). შემდგომ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს პაციენტის ჩართვა დისკუსიაში, რომელიც მისი მოტივაციის მიმდინარე დონეს ეხება.

### **ASSESS –შეაფასეთ წონაში დაკლების ცვლილებისადმი მზადყოფნა**

გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს ცვლილების ეტაპის განმსაზღვრელი ზუსტი მტკიცებულება, პიროვნების მზადყოფნის შეფასება წონაში დაკლებასთან მიმართებაში დასახული მიზნის მიღწევის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს.

არსებობს მტკიცებულება, რომ წონაში დაკლების პროცესში ე.წ. “მოქმედების” ეტაპში გადასვლა და/ან ხანგრძლივი დროით დარჩენა წონის მხრივ უკეთესი მაჩვენებლების გამოვლენას უწყობს ხელს. მაგალითად, პროჩასკამ და მისმა კოლეგებმა აღმოაჩინეს, რომ რაც უფრო ადრე მიაღწიეს პაციენტებმა ამ ეტაპს, მით უფრო წარმატებული აღმოჩნდნენ ისინი მკურნალობის ბოლოს (Prochaska, 1992 A). თუმცა, სხვა ავტორებმა ვერ აღმოაჩინეს კავშირი წონის დაკლების ცვლილების ბაზისურ ეტაპსა და წონის ხანმოკლე (Macqueen, 2002 C) და შედარებით გახანგრძლივებულ (მაგ, სამი წელი) გამოსავალს შორის (Jeffery 1999 C). ერთერთი გამოქვეყნებული რანდომიზებული კვლევა რომელიც აფასებს ტრანსთეორიულ მოდელს აღნიშნულია, რომ წონის დასაკლებმა ინტერვენციამ გამოიწვია წონის შენარჩუნება, მაგრამ არა წონაში დაკლება (Logue, 2005A). ავტორებმა აღნიშნეს, რომ მათი ჩარევა (მაგ, ყოველთვიურად სატელეფონო რჩევა-კონსულტაცია) არ აღმოჩნდა საკმარისი მნიშვნელოვანი კლინიკური ეფექტის მისაღწევად. დადგინდა, რომ კონტაქტის ინტენსიურობა და სიხშირე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გამოსავლის წარმატებას (Jeffery 2000 R). წონაში დაკლების წარმატებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგრეთვე და ცხოვრების სტილი და ფსიქოლოგიური ფაქტორები. მაგალითად, კვლევებით დადგენილია, რომ დეპრესიული სტატუსი არასასურველ ზეგავლენას ახდენს მკურნალობის გამოსავალზე (Linde, 2004 C) და გათვალისწინებულ უნდა იქნეს პაციენტისთვის რეკომენდაციების მიცემის პროცესში. კვებისა და ფიზიკური აქტიურობის სფეროში ცვლილებების მისაღწევად ექიმმა უნდა შეფასოს პაციენტის მოტივაცია და მხარდაჭერა, ცხოვრების სტრესული მოვლენები, ფსიქიატრიული სტატუსი, თავისუფალი დროის არსებობა და შეზღუდვები, მიზნების და მოლოდინის შესაბამისობა. ცვლილებისადმი მზადყოფნის შეფასება გულისხმობს იმაზე მეტს, ვიდრე მარტივად დასვათ შეკითხვა, “მზად ხართ თუ არა წონაში დაიკლოთ?”

შეფასების პროცესში დახმარებას გაგიწევთ ციფრებიანი სკალა, სადაც ცვლილებისადმი პაციენტის ინტერესი და რწმენა ქულებით აისახება. შეეკითხეთ პაციენტს “სკალაზე 0-დან 10-მდე, სადაც 0-არ არის მნიშვნელოვანი, 10-ძალიან მნიშვნელოვანი – რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ახლა წონაში დაკლება?” განაგრძეთ შეკითხვა “სკალაზე 0-დან 10-მდე, სადაც 0-არ არის დარწმუნებული, 10-საკმაოდ დარწმუნებული – რამდენად დარწმუნებული ხართ იმაში, რომ ახლა შეძლებთ წონაში დაკლებას?” ასევე შეგიძლიათ ჰკითხოთ “რამდენად დაინტერესებული ხართ ამჟამად წონაში დაკლებით? 0-არ არის დაინტერესებული, 10-ძალიან დაინტერესებულია”.

### **ASSIST – ღამხმარე წონაში დაკლების მცდელობაში**

- **პაციენტი არ არის დაინტერესებული/მოტივირებული წონაში დასაკლებად**  
ამ კატეგორიის პაციენტები არ ფიქრობენ, რომ მათი წონა პრობლემას წარმოადგენს, არ არიან დაინტერესებულნი ცვლილების განხორციელებაში (precontemplator), უარყოფენ თავიანთ პრობლემას, მაგრამ იწყებენ ცვლილებაზე ფიქრს (contemplator). სიმსუქნესთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების და წონაში დაკლების პოტენციური სარგებლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მეტად ეფექტურია მათთვის ვინც ჯერ კიდევ არ არის დაინტერესებული

ცვლილებით. ცვლილებასთან დაკავშირებული ბარიერების განხილვა მნიშვნელოვანი სტრატეგიაა იმ პაციენტებთან მიმართებაში, რომლებსაც დაწვებული აქვთ ცვლილებაზე ფიქრი. წონის დაკლებასთან დაკავშირებით პაციენტის მზადყოფნის შეფასება რეგულარული ინტერვალებით უნდა განხორციელდეს.

• **პაციენტი დაინტერესებულია/მოტივირებული წონაში დასაკლებად**

წონაში დასაკლებად მოტივირებულ პაციენტებს რეკომენდაცია უნდა მივაწოდოთ შესაფერისი კვების, აქტიურობის და ქცევის შესახებ. დავეხმაროთ აღნიშნული ცვლილებების განხორციელებაში. ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია დეტალურად აღწერს აღნიშნულ რეკომენდაციებს. ექიმს ევალება კარგად იცოდეს შესაფერისი რეფერალური წყაროები, როგორც საკუთარ კლინიკაში ასევე ადგილობრივ დასახლებაში.

**ARRANGE – მონიტორირება გაუწიე**

მიუხედავად იმისა, რომ ექიმი შეიძლება პირდაპირ არ მონაწილეობდეს წონის მართვის პროცესში, წონის დაკლების პროგრამის დაწყებიდან დაახლოებით სამი თვის შემდეგ რეკომენდებულია განმეორებითი ვიზიტის დაგეგმვა პროგრესის შესაფასებლად. პროგრამის დასრულებამდე განმეორებითი შეფასებები გრძელდება შესაბამისი ინტერვალებით და ყოველ ვიზიტზე ხდება მიზნებისა და რისკ-ფაქტორების განმეორებითი შეფასება და წონის შენარჩუნებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

**კვების მოწოდება და ღიაობა**

- კვებითი რეკომენდაციები გულისხმობს კალორიების შემცირებას ულუფის ზომის და რაოდენობის შეფასებით;
- ფიზიკური აქტიურობის ფიზიოლოგიური ეფექტები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოძრაობის სიხშირეზე, ხანგრძლივობასა და ინტენსივობაზე;
- ცხოვრების სტილის მოდიფიკაცია (კვება და ფიზიკური აქტიურობა) ფარმაკოთერაპიასთან (6 თვიდან 1 წლამდე) ერთად კომბინაციაში განაპირობებს წონაში დაკლებას მსუქან პაციენტებში;
- ბარიატრიული ქირურგია (სიმსუქნის ქირურგიული მკურნალობა: კუჭის, გასტროპლასტიკა) ნაჩვენებია განსაკუთრებული ჯგუფის პაციენტებში, რომელთა სხეულის მასის ინდექსი 40-ზე მეტია ან უტოლდება 35-39.9-ს, რომლებიც ნაადრევი სიკვდილის ან ინვალიდობის აბსოლუტური რისკის წინაშე არიან. პაციენტები უნდა იყვნენ ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული, მოტივირებული, კარგად ინფორმირებული დაავადების მართვის და ოპერაციული რისკის შესახებ. ბარიატრიული ქირურგია იძლევა მნიშვნელოვან და ხანგრძლივ შედეგებს, თუმცა არ არის ცნობილი შორეული შედეგები;
- მნიშვნელოვანია ყოველდღიური, ყოველკვირეული და ხანმოკლე მიზნების დასახვა.

### კვების შეფასება და მკურნალობა

პაციენტთან შეთანხმებით ხდება წონის მართვისთვის შესაფერისი კვების გეგმის თერაპიის შემუშავება. დიეტოლოგი აფასებს მდგომარეობას და იძლევა რჩევა-დარიგებებს აღნიშნული საკითხის ირგვლივ. წონის მართვისთვის აუცილებელია ექიმს კარგად ესმოდეს კვებითი რეკომენდაციების ზოგადი პრინციპები.

### ანამნეზი კვების შესახებ

კვების ჩვევის შესახებ ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია მიღებული საკვების სიხშირის და შემადგენლობის აღრიცხვით, სამი დღის, ერთი კვირის განმავლობაში მიღებული საკვების დაფიქსირებით.

### კვების შეფასება

შეაფასეთ კვების ჩვევა. საკვები და სასმელი, რომელსაც პაციენტი ირჩევს. შეფასება გულისხმობს განისაზღვროს:

- საკვებით და სასმელით მიღებული კალორიები და ცხიმი;
- ულუფის ზომა და საკვების ყველა ჯგუფი;
- საკვები ნივთიერებების გადაჭარბებული ან არასაკმარისი მოხმარება;
- საკვები დანამატების გამოყენება;
- სპეციფიკური ქცევის შეცვლის ეტაპი, როგორცაა ხილისა და ბოსტნეულის მიღება;
- კვების შესაძლო დარღვევის სიმპტომები – საკვების გადაჭარბებული მოცულობით მიღების განმაპირობებელი ფაქტორები;
- საკვების მიღების დრო, ჯერადობა და რაციონი.

### კვებითი რეკომენდაციები.

შეარჩიეთ პაციენტისათვის სასურველი კვების განრიგი. დიეტური რეკომენდაციები უნდა იყოს ინდივიდუალური და მოქნილი კალორიაუს შემცირებისათვის (National Heart, Lung and Blood Institute, 2000 y).

### რეკომენდებულია:

- წონაში დაკლება კალორიების შემცირების გზით. კალორიების ზომიერი შემცირებით (500-1000 კკალ დღეში) შესაძლებელია კვირაში 0,5-1კგ-ით წონაში დაკლება (National Heart, Lung and Blood Institute, 2000 D);
- კვების გეგმის შემუშავება წონაში დასაკლებად, რომელიც გულისხმობს 1000-1200 კკალ/დღეში ქალებისათვის და 1200-1600 კკალ/დღეში მამაკაცებისათვის (National Heart, Lung and Blood Institute, 1998 D);
- კვების რეჟიმის შემუშავება, რომელიც ბალანსირებულია და შეესაბამება კვებით გაიდლაინებს (Esposito, 2003 A). უზრუნველყავით დღეში სულ მცირე 5 ულუფა ხილის და ბოსტნეულის მიღება. შეზღუდეთ ცხიმის მიღება ცხიმიდან მიღებული კალორიაუს 30%-მდე, ნაჯერი ცხიმიდან მიღებული კალორიაუს 7-10%-მდე, უჯერი ცხიმი უნდა იყოს 1%-ზე

ნაკლები ან არ უნდა აღემატებოდეს მას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მარცვლეულის და უჯრედისის მიღებას (დღეში 35 გრამი ან მეტი);

- მიღებული უჯერი ცხიმი უნდა შეადგენდეს კალორაციის 1%-ზე ნაკლებს. რაც უფრო დაბალია საკვებით მიღებული ქოლესტერინი, ნაჯერი და უჯერი ცხიმის კომბინირებული მიღება, მით მეტია სარგებელი კარდიოვასკულარული სისტემის მხრივ (USDA, 2005 D). რესტორანში, მათ შორის სწრაფი კვების ობიექტებში დამზადებული საკვების უმეტესობა დიდი რაოდენობით შეიცავს “განსხვავებულ ცხიმს” (ეს ცხიმი მცენარეული წარმოშობისაა, მაგრამ ის ქიმიურად შეცვლილია ხელოვნურად, ჰიდროგენიზაციის საშუალებით), და გაურკვეველი შემადგენლობის არის. “განსხვავებული ცხიმის” მიღების შემცირება შესაძლებელია “ნაწილობრივ ჰიდროგენიზებული” მცენარეული ცხიმების შემცველი საკვების შეზღუდვით, როგორცაა მაგალითად ზოგიერთი სახეობის მარგარინი, ცომისთვის სიფხვიერის მიმცემი სპეციალური ცხიმი, კრეკერები, ტკბილეული, ნამცხვრები, წასახემსებელი/შემწვარი საკვები, საღაათის შესაკმაზი სოუსები და გადამუშავებული საკვები.

**ცხრილი №7**

**დაბალ-კალორიული კვების გეგმა წონაში დასაკლებად**

საკვები ნივთიერება	რეკომენდირებული ნორმა
კალორიები	ჩვეული დღიური კალორაციის შემცირება დღეში 500-1000 კკალ-ით
საერთო ცხიმი	საერთო კალორიების 30% ან ნაკლები
“განსხვავებული ცხიმი”*	საერთო კალორიების 1% ან ნაკლები
ნაჯერი ცხიმი	საერთო კალორიების 7-10%
უჯერი ცხიმი	საერთო კალორიების 15%-მდე
ცილა	საერთო კალორიების 15%
ნახშირწყლები-რთული, სხვადასხვა სახის ბოსტნეულის, ხილის და მარცვლეულისგან მიღებული.	საერთო კალორიების 55%
ბოჭკო	25-35 გრამი ან მეტი

ნახშირწყლების დასაშვები ნორმა მოზრდილებისა და ბავშვებისათვის განისაზღვრა დღეში მინიმუმ 130 გრამი (*Institute of Medicine of the National Academies, 2002*).

\* განსხვავებული ცხიმი“-ესაა ცხიმი მცენარეული წარმოშობისაა, მაგრამ ის ქიმიურად შეცვლილია ხელოვნურად, ჰიდროგენიზაციის საშუალებით.

- ყველა დაბალ-კალორიული დიეტა იწვევს წონაში სწრაფ დაკლებას (3-დან 12 თვემდე) (Bravata, 2003:Freedman, 2001, National Heart, Lung and Blood

Institute,1998). მეტი კვლევებია საჭირო წონაში დაკლების სამომავლო ეფექტურობის განსაზღვრისათვის და ნახშირწყლებით ღარიბი (100 გრამზე ნაკლები) დიეტის შესანარჩუნებლად. ჩვეულებრივ დაბალკალორიულ დიეტასთან შედარებით წონაში დაკლების სწრაფი ეფექტი (3-დან 6 თვემდე) აღინიშნა ნახშირწყლებით ღარიბი დიეტის ფონზე, თუმცა ერთი წლის შემდეგ სხვაობა მნიშვნელოვანი არ იყო. ერთი წლის განმავლობაში ნახშირწყლებით ღარიბი დიეტის ფონზე ტრიგლიცერიდების და (მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი) ქოლესტერინის მაჩვენებლების გაუმჯობესება აღინიშნა. სადღეისოდ გაურკვეველია თუ რა გავლენას ახდენს ზემოთ აღნიშნული დიეტა კარდიოვასკულარული რისკ-ფაქტორების გაუმჯობესებაზე, რამდენად უსაფრთხო და ეფექტურია იგი ხანგრძლივად წონაში დაკლებისათვის;

- ჯანმრთელობის რისკი მატულობს და საკვები ელემენტების დეფიციტი შეიძლება აღინიშნოს წონაში დაკლების რეკომენდაციების გამო, რომელიც საკვების გარკვეულ ჯგუფებს გამორიცხავს და ზღუდავს მაკრო ელემენტებს (Bonow, 2003, Freedman, 2001);
- წონაში დაკლების მიზნით ძალიან დაბალ-კალორიული დიეტის რუტინულად გამოყენება რეკომენდებული არ არის, ამისთვის საჭიროა გამოცდილი პრაქტიკოსის განსაკუთრებული მეთვალყურეობა. აღნიშნული დიეტის გამოყენების შედეგად პირველი 6 თვის მანძილზე წონაში დაკლება მოსალოდნელია 20 კგ-ით, თუმცა 6-12 თვის განმავლობაში წონის ხელახალი ნამატი აღინიშნება. კვების და ქცევის მიმდინარე ზედამხედველობის გარეშე წონის შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელია (Paisey 2002, Torgerson 1999);
- ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ წონაში დაკლებისა და შენარჩუნებისათვის დაბალი გლიკემიური ინდექსის მქონე დიეტა ეფექტური არ არის. მეტი კვლევებია საჭირო შიმშილისა და მაძღრობის შორეული ეფექტების განსაზღვრისათვის (Ebbeling, 2005). იხილეთ დანართი 8. „კვების დაგეგმვა და წონის კორექცია.“

### **კვების გამოსავალი და მიზნები**

- წონის დაკლების და შენარჩუნების უკეთესი შედეგის მისაღწევად აუცილებელია ფიზიკური აქტიურობის გაზრდის ხარჯზე კალორიების გაძლიერებული დახარჯვა (Esposito, 2003, Miller, 1997, National Heart, Lung and Blood Institute,2000, Rejeski, 2002);
- ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წონაში დაკლების უკეთესი შედეგი იმ შემთხვევაში მიიღწევა, როდესაც კალორიის შემცირება კომბინირებულია ფიზიკური აქტიურობის გაზრდასთან და ქცევით თერაპიასთან (Chao, 2000, Diabetes Prevention Program Research Group 2002. Freedman, 2001. Miller, 1997. National Heart, Lung and Blood Institute,1998, 2000. Rejeski, 2002. Tuomilehto, 2001);
- წონაში დაკლების პროცესის ეფექტურობისთვის რეკომენდებულია ჯანდაცვის მუშაკის მხრიდან ხშირი მეთვალყურეობა და



საგანმანათლებლო საუბრები (Chao, 2000. National Heart, Lung and Blood Institute, 2000. Rejeski, 2002. Tuomilehto, 2001);

- კალორაჟის შემცირების და ფიზიკური აქტიურობის გაზრდის ერთობლიობით მიიღწევა წონის შენარჩუნება (Franz, 2007. Freedman, 2001. McGuire, 1998. Wing, 2001). წონის კონტროლის ნაციონალური სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით გამოვლინდა, რომ წონის შენარჩუნებისთვის რეკომენდებულია დღეში საშუალოდ 1400 კკალ მიღება, ყოველდღიურად 1 საათი ზომიერი ფიზიკური აქტიურობა და დილით საუზმის მიღება.

## **ფიზიკური აქტიურობა**

ფიზიკურ აქტიურობას მიეკუთვნება სხეულის ყველა სახის და ინტენსივობის მოძრაობა, ყოველდღიური აქტიურობის ჩათვლით. ტერმინი ვარჯიში გალისხმობს დატვირთვის ინტენსივობის გაზრდას, ხშირად აღიქმება როგორც ვალდებულება და უარყოფით გავლენას ახდენს ზოგიერთ მსუქან პაციენტზე. ფიზიკური აქტიურობა მეტად მიღწევადი, ყოველსმომცველი და შესაფერისი ტერმინია.

ფიზიკური აქტიურობა დიდი ხნის წინ განისაზღვრა ცხოვრების ჯანსაღი წესის და დღეგრძელობის მნიშვნელოვან კომპონენტად (Paffenbarger, 1986). ამერიკის გულის ასოციაციის მიერ კარდიოვასკულარული დაავადების დამოუკიდებელ რისკ-ფაქტორად განისაზღვრა ფიზიკური უმოძრაობა და ცხოვრების მჯდომარე სტილი (Fletcher, 1992). სიმსუქნის პრობლემის მთავარ მიზეზს ფიზიკური უმოძრაობა წარმოადგენს. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოზრდილთა დაახლოებით 60%-ს ჭარბი წონის პრობლემები აღენიშნებათ (Flegal, 2002). სიმსუქნის პრევენციისა და მართვისთვის აუცილებელია ფიზიკური აქტიურობის ხელშეწყობა.

### **ფიზიკური აქტიურობის სპეციფიკური როლი სიმსუქნის მართვაში**

სიმსუქნის მართვაში ფიზიკურ აქტიურობას გააჩნია რამოდენიმე სპეციფიკური როლი: პრევენცია, წონის მკვეთრი დაკლება, წონის დაკლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, წონის შენარჩუნება და ნორმალური მეტაბოლური მაჩვენებლები წონის დაკლებით ან მის გარეშე. ქვემოთ წარმოდგენილია თითოეული მათგანის მოკლე მიმოხილვა.

### **ფიზიკური აქტიურობა და სიმსუქნის პრევენცია**

არსებობს ზოგადი მოსაზრება, რომ ფიზიკური აქტიურობის დროს დახარჯულ ენერჯიას აქვს უნარი ზემოქმედება მოახდინოს ენერგეტიკულ ბალანსზე და წონის რეგულაციის პროცესსზე. არსებობს მტკიცებულება, რომ ფიზიკური აქტიურობა მინიმუმამდე ამცირებს წონაში მატების პროცესს (Jakicic, 2002). თუმცა, მხოლოდ ფიზიკური აქტიურობა ვერ დაძლევეს არასწორი კვების ჩვევებს. ჭარბი წონის პრევენციისთვის ორივე ამ ფაქტორის ბალანსირებაა საჭირო. ჯერ კიდევ ვერ დადგინდა წონაში მატების პრევენციისთვის ფიზიკური აქტიურობის ოპტიმალური დოზა. იგი ინდივიდუალური იქნება ასაკის, სქესის, პროფესიული

ენერჯის ხარჯვის და ჩვეული კალორაჟის მიღების მიხედვით. ზოგადად რეკომენდებულია კვირაში 5 დღე, 30-დან 60 წუთამდე საშუალო ინტენსივობის ფიზიკური აქტიურობა (American College of Sports Medicine, 2001).

### ფიზიკური ვარჯიში და წონაში მკვეთრი დაკლება

კვლევებით დადგენილია, რომ კალორაჟის კონტროლის გარეშე მხოლოდ ვარჯიშით წონაში დაკლება საკმაოდ რთულია. ვარჯიშით მიღწეული შედეგი სქესთა შორის განსხვავებულია. წონაში კლება მამაკაცებში უფრო მკვეთრად აღინიშნებოდა, მაშინ როდესაც ქალები მხოლოდ წონის შენარჩუნებას აღწევდნენ (Doneelly, 2003). ჩაატარეს ციკლური ერგომეტრიის ამტანობის კვლევა, რომელიც კვირაში 3 დღე 20 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. კვლევაში მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა რასის (შავი და თეთრი), სქესის, ასაკის (16-65 წლის) და განსხვავებული სხეულის აღნაგობის მქონე პირები. ვარჯიშის შედეგად ცხიმის მაჩვენებლები შემცირდა და ცხიმისგან თავისუფალი მასა გაიზარდა. ამ ცვლილებების მაშტაბი ჩათვალეს რომ არის მცირე მნიშვნელობის. ვარჯიშის შედეგად სქესთა შორის სხვაობა აღინიშნა (Wilmore, 1999).

### ფიზიკური აქტიურობა და წონის შენარჩუნება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში

დადგენილია, რომ წონის ხელახლა მატების პრევენციისთვის ფიზიკურ აქტიურობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება (Jeffery, 1984. Pronk, 1994). აერობიკა და ძლიერი ვარჯიში წონის ტოტალური დაკლებისთვის იმდენად ეფექტური არ არის, როგორც მისი როლი წონის შენარჩუნებაში (Wadden, 1998). ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წონის შესანარჩუნებლად ფიზიკური აქტიურობა საჭიროა ისეთივე სიხშირით, როგორც იყო რეკომენდებული დაკლების პროცესში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წონის შენარჩუნებისთვის საჭიროა ყოველდღიურად 1 საათი ან მეტი ზომიერი ფიზიკური აქტიურობა.

### ნორმალური მეტაბოლური მაჩვენებლები წონის დაკლებით ან მის გარეშე

ფიზიკური აქტიურობის დადებითი ზემოქმედება ცდება წონის დაკლების ფარგლებს. არსებობს სარწმუნო მტკიცებულება, რომ ფიზიკური აქტიურობა ძალიან მნიშვნელოვანია ტიპი II შაქრიანი დიაბეტის და კარდიოვასკულარული დაავადების (მასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების) პრევენციის და მართვის საკითხში. არსებობს მონაცემები, რომ 5-დან 10%-მდე წონაში დაკლება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მეტაბოლურ სინდრომზე (Goldstein, 1992). საშუალო სიმსუქნის მქონე ქალებში პერიოდული ვარჯიში, დღეში ორჯერ 15 წუთიანი ჩქარი სიარულის სახით არ იწვევს წონაში დაკლებას, მაგრამ მკვეთრად აუმჯობესებს მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდისა და ინსულინის მაჩვენებლებს (Donnelly, 2000). მამაკაცებში, კალორაჟის შეზღუდვის გარეშე წონაში დაკლება ყოველდღიური ფიზიკური აქტიურობის მომატების ხარჯზე, ამცირებს ინსულინის რეზისტენტობას და მუცლის არეში გაცხიმოვნების ხარისხს. ვარჯიში წონაში დაკლების გარეშე ამცირებს მუცლის არეში ცხიმს,

დადებით ზეგავლენას ახდენს კარდიოვასკულარულ სისტემაზე, მაგრამ არ მოქმედებს ინსულინის დონეზე (Ross, 2000).

გლუკოზის დარღვეული ტოლერანტობის მქონე მსუქან პირებში, რომლებმაც შეცვალეს ცხოვრების სტილი და დაიწყეს ფიზიკური აქტიურობა, დაიკლეს წონაში და მნიშვნელოვნად შეამცირეს დიაბეტის პროგრესირება (Tuomilehto, 2001).

არსებობს კვლევები ფიზიკური აქტიურობის შესახებ, სადაც ნათლად ჩანს, რომ წონაში დაკლების გარეშე დამოუკიდებლად მეტაბოლური ეფექტის მიღწევა შეუძლებელია. მსუქან ქალებში აერობიკისა და გამუდმებული ვარჯიშის შედეგად დიეტის გარეშე ვერ იქნა მიღწეული წონაში კლება, ადგილობრივი გაცხიმოვნების შემცირება, ლიპიდებისა და ინსულინის მაჩვენებლების ნორმალიზება.

### ფიზიკური აქტიურობის გეგმის შედგენა

დაახლოებით 20 წლის წინ იყო მიღებული ექიმის მიერ ვარჯიშის ინდივიდუალური გეგმის შედგენა (Gibson, 1983). ზემოთ აღნიშნული ზუსტი რეკომენდაციის შედგენა დღესაც უცხოა პირველადი ჯანდაცვის ექიმებისათვის.

ფიზიკური აქტიურობა შეიძლება განსხვავდებოდეს მოძრაობის სიხშირის, ხანგრძლივობის და ინტენსივობის მიხედვით. ვარჯიშის ფიზიოლოგიური ეფექტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აქტიურობის მოცულობაზე. ქვემოთ განხილული იქნება თითოეული მათგანი.

### სიხშირე

ფიზიოლოგიური ადაპტაციის გამომუშავებისთვის ფიზიკური აქტიურობის მინიმალური სიხშირე კვირაში სამი დღით განისაზღვრება. ყოველდღიური ვარჯიში რეკომენდებულია არტერიული წნევის და ინსულინის მაჩვენებლების გაუმჯობესებისთვის. ვარჯიშით გამოწვეული სარგებლის მისაღწევად რეკომენდებულია ფიზიკური აქტიურობა კვირაში ხუთი დღე ან მეტი. ვარჯიშის დაწყება უმჯობესია თანდათანობით, სიხშირის შემდგომი გაზრდით. სხვადასხვა სახის აქტიურობა იძლევა სიხშირის გაზრდის საშუალებას და ნაკლებად მოსაწყენს ხდის მას. ფიზიკური აქტიურობით სიამოვნების მიღება მისი ზუსტი შესრულების გარანტიაა.

### ხანგრძლივობა

ვარჯიშის რეკომენდირებული ხანგრძლივობა ცვალებადობს. ტრადიციული კარდიოვასკულარული გაიდლაინების მიხედვით ფიზიკური აქტიურობა გულისხმობს 60-80% გულის ცემის მაქსიმალური სიხშირის ფონზე კვირაში სამიდან ხუთი დღის განმავლობაში 30 წთ ვარჯიშს. ამერიკის სპორტული მედიცინის კოლეჯის მიერ რეკომენდებულია თითქმის მთელი კვირის განმავლობაში 30 წთ. საშუალო ინტენსივობის ფიზიკური აქტიურობა (American college of Sports Medicine, 2001). კარდიოვასკულარული სისტემისთვის და წონაში დასაკლებად ასევე ეფექტური აღმოჩნდა ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში (10 წთ) ხშირად ვარჯიში (Jakicic, 1995).

**წონის კონტროლისთვის** რეკომენდებულია ფიზიკური აქტიურობა დღეში 60 წთ განმავლობაში (მოწოდებულია სამედიცინო ინსტიტუტის მიერ). ჭარბწონიან პაციენტებში წონაში კლების პროცესი უკეთესად წარიმართა კვირაში 2500 კკალ (300 კალ/დღეში) დახარჯვით. აღნიშნული მაჩვენებელი ადრე შეადგენდა სტანდარტულ 1000 კკალ/კვირაში (150 კკალ/დღეში) (Jeffery, 2003).

**ინტენსიურობა**

კონკრეტული პაციენტისთვის ფიზიკური აქტიურობის შესაფერისი ინტენსივობის შერჩევა რთულია. მსუქან პაციენტებს ვარჯიშისთვის ესაჭიროებათ დიდი ძალისხმევა. შესაფერისი ინტენსივობის დადგენა შესაძლებელია აქტიურობის პროცესში პაციენტის ლაპარაკის უნარის განსაზღვრით. საუბრის პროცესში სირთულე შეტყვევებს პაციენტის დიდ ფიზიკურ დატვირთვაზე, რაც დიდხანს ვერ გასტანს. გადაჭარბებული ფიზიკური აქტიურობა ზიანის მომტანია და დროის ფუჭი კარგვაა. უმჯობესია ფიზიკური აქტიურობის მცირე ინტენსივობით დაწყება და მისი თანდათანობით გაზრდა. სუნთქვის გაუმჯობესებისთვის და ვარჯიშის დასრულებისთვის უმჯობესია ტემპის შემცირება.

ფიზიკური აქტიურობის ინტენსივობის განსაზღვრა შესაძლებელია წუთში ან საათში დახარჯული კალორიების მიხედვით. მისაღები კალორიაჟის დადგენა დამოკიდებულია წონასა და მოძრაობის ინტენსივობაზე. არსებობს ვრცელი ცხრილი კალორიაჟის ხარჯვის შესახებ სხვადასხვა დატვირთვის მქონე პირებში (Katch, 1993). (იხ. ცხრილი №8).

**ცხრილი №8**

**კონკრეტული ფიზიკური აქტიურობის დროს დახარჯული ენერჯია**

<b>მსუბუქი (4 კკალ/წთ ნაკლები)</b>	<b>საშუალო (4-7 კკალ/წთ)</b>	<b>მძიმე (7 კკალ/წთ მეტი)</b>
ნელი სიარული	ცოცხლად სიარული	ცოცხლად სიარული აღმართზე ან ტვირთით
	ველოსიპედით სეირნობა	ველოსიპედით სწრაფი სიარული ან რბოლაში მონაწილეობა
ნელი ცურვა	ცურვა ზომიერი ძალისხმევით	სწრაფი ცურვა
ზოგადი ვარჯიში, მსუბუქი დაჭიმვა	ზოგადი ვარჯიში, აერობიკა	ზოგადი ვარჯიში, კიბის ერგომეტრია
–	მაგიდის ჩოგბურთი	ჩოგბურთი
გოლფი	–	–
ბოულინგი	–	–
თევზაობა მჯდომარე	თევზაობა ფეხზე დამდგარი	თევზაობა მდინარეში

ნაოსნობა	ნელი კანოე	სწრაფი კანოე
დიასახლისობა, ხალიჩის დაგვა	დიასახლისობა, ზოგადი დალაგება	ავეჯის გადაადგილება
ბალახის მოთიბვა	ბალახის მოთიბვა ელექტრო დანადგარით	ბალახის მოთიბვა ხელით
სახლში ხეზე მუშაობა	ხატვა	–

მოსვენებულ მდგომარეობაში ყოფნის ან კითხვის დროს იხარჯება 1 კკალ/წუთში. საშუალო წონის ადამიანი სიარულის დროს ხარჯავს დაახლოებით 5 კკალ/წუთში, 10 წუთის განმავლობაში ძუნძულით სირბილის დროს 10 კკალ/წუთში და 7 წუთის განმავლობაში სირბილით 15 კკალ/წუთში. იგივე დატვირთვა 300 ლბს. წონის მქონე ადამიანისთვის ენერჯის დაახლოებით გაორმაგებულ ხარჯვას განაპირობებს.

ფიზიკური აქტიურობის ინტენსივობის განსაზღვრის მეორე მეთოდს წარმოადგენს მეტაბოლური ექვივალენტობა. მეტაბოლური ექვივალენტობა განისაზღვრება როგორც ენერჯის ხარჯვა მოსვენებულ მდგომარეობაში ყოფნისას. საშუალო ასაკის მოზრდილისათვის ეს უდრის სხეულის 1 კგ-ზე 1 კკალ/სთ-ში. აქტიურობის მთელი ჩამონათვალი მეტაბოლურ ექვივალენტობის მაჩვენებელთან ერთად გამოიყენება ენერჯის სრული დანახარჯის დასადგენად: (აქტიურობის მეტაბოლური ექვივალენტობის მაჩვენებელი) X (წონა კილოგრამებში) X (აქტიურობის დრო) Ainsworth, 1993, Ainsworth, 2000.

ფიზიკური აქტიურობის რეკომენდებული დღიური მაჩვენებელი მერყეობს 150 კკალ-დან 300 კკალ-მდე. ფიზიკური აქტიურობის საწყისი დონე უნდა განისაზღვროს წონის დაკლებისთვის აუცილებელი ზომიერი ხანგრძლივობით. ორგანიზმის ცხიმის 453,6 გრ შეიცავს ენერჯის 3500 კკალორიას, რაც საშუალო წონის ადამიანისთვის 35 მილის გავლას უზრუნველყოფს. ფიზიკური აქტიურობით დახარჯული ენერჯის შევსება ადვილად ხორციელდება კალორიის არაკონტროლირებული მიღებით. 30 წუთის განმავლობაში ზომიერი ფიზიკური აქტიურობა (5 კკალ/წუთში) განაპირობებს 150 კკალ-ის ხარჯვას. ეს უდრის შემწვარი კარტოფილის 5 ნაჭერს, 2 ქილა ტკბილ სასმელს, 15 ცალ “ჩიპსს. ნებისმიერი წონის პრობლემის მართვისთვის აუცილებელია ფიზიკური აქტიურობისა და კვებითი რეკომენდაციების ერთობლიობა.

მიუხედავად იმისა, რომ სიმსუქნის მართვაში ფიზიკური აქტიურობის შესახებ კონსენსუსი მიღწეულია, არ არსებობს მისი რეკომენდებული ფორმატი. ლიტერატურაში მსგავს მაგალითს წარმოადგენს პროექტი PACE (Physician-based Assessment and Counseling for Exercise) (Patrick, 1994) და Norstrom at Park Nicollet HealthSource-ის მიერ შემუშავებული ფიზიკური აქტიურობის პირამიდა (Park Nicollet medical Foundation, 1999).

ფიზიკური აქტიურობის ამბულატორიული შეფასება პირველად მოწოდებული იქნა პროექტ PACE-ის მიერ. ერთ გვერდიანი კითხვარის მეშვეობით ხდება პაციენტის ფიზიკური აქტიურობის დონის და აქტიურობის გაზრდისადმი მზადყოფნის შეფასება. მრავალი პროტოკოლი არსებობს აღნიშნული მიზნის

მისაღწევად სხვადასხვა საჭიროების მქონე პაციენტებისათვის. აღნიშნული პროგრამის განხორციელება შეუძლიათ ექიმებს, ექთნებს ან ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებს (Patrick, 1994).

აღმოჩნდა, რომ ვარჯიშის წერილობითი რეკომენდაცია უფრო ეფექტურია, ვიდრე ვერბალურად გადაცემული (Swinburn, 1998). მედიკამენტის გამოწერაზე გაცილებით რთულია ფიზიკური აქტიურობის რეკომენდაციის დაწერა. ფიზიკური აქტიურობის ინდივიდუალური დანიშნულება საკმაოდ დამოკიდებულია კონტექსტზე. გათვალისწინებულ უნდა იქნეს ინდივიდუალური მოტივაცია, თვითკმაყოფილება, აქტიურობის სახეობა ან შესაძლო სამედიცინო წინააღმდეგევენებები (CME Resource, 2004). სხვადასხვა პაციენტში მოსალოდნელი შედეგის დრო განსხვავებულია.

ფიზიკური აქტიურობის გასაუმჯობესებლად საკმაოდ ინფორმატიულია პაციენტის საგანმანათლებლო ბუკლეტები.

## **ცხოვრების წესის შეცვლა და თვითმონიტორინგი**

### **წონის კვების და ფიზიკური აქტიურობის თვით-მონიტორინგი**

წონის დაკლებისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს ენერჯის მიღება-ხარჯვის და წონის თვით-მონიტორინგი. ის ვინც რეგულარულად უწევს თვით-მონიტორინგს დიეტას და ფიზიკურ აქტიურობას, წონაში დაკლების უკეთესი მაჩვენებლები აღენიშნებათ (Boutelle, 1999,1998). წონის რეგულარული მონიტორინგი წონის კონტროლის საუკეთესო საშუალებაა. წონის კონტროლის ნაციონალური სააგენტოდან (National Weight Control Registry - NWCR) მოწოდებული მტკიცებულება ცხადყოფს, რომ პიროვნებებმა, რომლებმაც წარმატებით დაიკლეს სულ მცირე 13,6 კგ. და აღნიშნული წონა შეინარჩუნეს ერთი წლის განმავლობაში, მონაწილეთა 75%-ზე მეტი წონის თვით-მონიტორინგს აწარმოებდნენ კვირაში ერთხელ (Klem, 1997).

პაციენტებმა მუდმივად უნდა აკონტროლონ კალორიების მიღება, ფიზიკური აქტიურობა და წონა. კალორიების მიღებისა და ფიზიკური აქტიურობის აღრიცხვა უნდა მოხდეს ყოველდღიურად, წონის შეფასება კი კვირაში ერთხელ.

### **ასწავლეთ ცხოვრების უნარ-ჩვევები**

იმის მიუხედავად, თუ რამდენი ხანია და რატომ აქვს პაციენტს ჭარბი წონა ან სიმსუქნე, ძირითად მიზანს წარმოადგენს პაციენტის მიერ საკმაოდ პერმანენტული ცხოვრების სტილის ცვლილებების განხორციელება, რაც კალორიების მიღების შემცირებაში და ფიზიკური აქტიურობის გაზრდაში გამოიხატება. განსახორციელებელი ცვლილებების რაოდენობა ცვალებადია იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის წონის დაკლება გეჭირდება. პატარა ცვლილებებს დიდი ზეგავლენა დასჭირდება. მაგალითად, 0,33მლ ტკბილი გაზიანი სასმელის ჩვეულებრივი წყლით ჩანაცვლება ყოველდღიურად, წელიწადში 13,5კალორიის დაზოგვას განაპირობებს.

წონის წარმატებული დაკლებისა და შენარჩუნებისთვის დამატებითი ქცევითი მოდიფიკაციის სტრატეგიები გულისხმობს:

**სტიმულის კონტროლს:** სტიმულის კონტროლი გულისხმობს ისეთი ქცევის ჩამოყალიბებას, რომელიც ეხმარება ადამიანებს კვების ქცევასა და ინერტულობასთან დაკავშირებული გარემო იმპულსების შემცირებაში. პაციენტებს უნდა ვასწავლოთ, შეამცირონ მაღალი კალორიების/ცხიმების შემცველი, არაჯანსაღი საკვების შექმნა სახლში, ნაკლები დრო გაატარონ დღის მანძილზე იმ ადგილას, სადაც იკვებებიან, მოერიდონ კვების დროს ყურადღების გაფანტვას (მაგ, ტელევიზორის ყურება) და იკვებონ შედარებით ნელა;

**შემეცნებით რესტრუქტურისაცხადს:** ნეგატიური ფიქრები (მაგ, პერფექციონისტული, გარებული “ყველა ან არცერთი”, პესიმიზტური ფიქრები და ეჭვი საკუთარ თავში) ხშირად არასასურველ გავლენას ახდენს ქცევის ცვლილების ძალისხმევაზე. პიროვნებებს უნდა ვასწავლოთ ნეგატიური ფიქრების იდენტიფიცირება და ხელი შევუწყოთ დადებითი მუხტის შექმნაში, რაც განაპირობებს ჯანსაღი კვების და ფიზიკური აქტიურობის რეკომენდაციების ზუსტ შესრულებას;

**მიზნების დასახვას:** მოტივაციის გაზრდისთვის პიროვნებებს უნდა ვასწავლოთ ხანმოკლე მიზნების დასახვის მნიშვნელობა, კვებისთვის მისაღები და მიღწევადი ყოველდღიური და კვირეული მიზნების დასახვა. ფიზიკური აქტიურობა და წონაში დაკლება უნდა იქნეს შენარჩუნებული;

**პრობლემის გადაჭრას:** წონაში დაკლების ინტერვენციის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს კვებისა და ფიზიკური აქტიურობის ცვლილებებთან დაკავშირებული ბარიერების გადალახვა. ამის მიღწევა შესაძლებელია პრობლემის გადაჭრის სტრატეგიის სწავლებით. რეკომენდებულია ისეთი სტრატეგიები, როგორცაა პრობლემის განსაზღვრა, ტვინის შტურმით მიღებული გადაწყვეტილებები, გადაწყვეტილების შერჩევა და მისი წარმატების შეფასება;

**სოციალურ მხარდაჭერას:** წონაში დაკლების წარმატებაზე, როგორც დადებითი ისე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ მეუღლეებს, ოჯახის წევრებს, მეგობრებს და თანამშრომლებს;

**ჩავარდნის (რეციდივის) პრევენციას:** ქცევის ცვლილების დროს ხშირია წარუმატებლობა და განმეორებით მცდელობის აუცილებლობა. პაციენტი, რომელაც ერთხელ არ გაუმართლებს, უნდა გავამხნევოდ და ვურჩიოთ სცადოს მაშინ, როდესაც ამისთვის მზად იქნება. ფაქტიურად, სრულ განკურნებას შეიძლება ვერ მივაღწიოთ; სჯობს მთელი ცხოვრება ვიბრძოლოთ, ვიდრე მაშინვე დავენებდეთ.

## **მედიკამენტური მკურნალობა**

სიმსუქნის მკურნალობაში ქცევითი თერაპია (კვებისა და ფიზიკური აქტიურობის ჩათვლით) ხშირად უმნიშვნელო გახანრძლივებულ შედეგს იძლევა, რის გამოც მედიკამენტური მკურნალობისადმი ინტერესი იზრდება. ითვლება, რომ წონის დაკლების და შენარჩუნების პროცესი მეტად წარმატებული იქნება, თუ ქცევით რეჟიმს (კვება და ფიზიკური აქტიურობა) დაემატებოდა მედიკამენტს. წონაში დაკლებისთვის ცხოვრების სტილის მოდიფიკაციისა და ფარმაკოთერაპიის შესახებ ჩატარებული რანდომიზებული კვლევით გამოვლინდა, რომ სიბუტრამინისა და ცხოვრების სტილის ინტენსიური მოდიფიკაციის ერთობლიობით წონაში კლების უკეთესი მაჩვენებლები აღინიშნა, ვიდრე მხოლოდ მედიკამენტის ან ცხოვრების სტილის მოდიფიკაციის შემთხვევაში (Wadden, 2005).

ამრიგად, სიმსუქნის მედიკამენტური მკურნალობა დასაშვებია მხოლოდ წონაში დაკლების სპეციალური პროგრამის პარალელურად, რომელიც გულისხმობს დაბალ-კალორიული დიეტის, მომატებული ფიზიკური აქტიურობის და ქცევითი თერაპიის ერთობლიობას. ფარმაკოთერაპიის დაწყება რეკომენდებულია იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სპეციალური პროგრამის ფონზე წონაში კლება კვირაში 0,45კგ-ით არ აღინიშნება.

ფარმაკოთერაპია ენიშნებათ პაციენტებს, ვისაც სხეულის მასის ინდექსი (ს.მ.ი) აქვთ 27-30 და მეტი, აგრეთვე აღნიშნებათ სიმსუქნესთან დაკავშირებული თანმხლები დაავადებები და რისკ-ფაქტორები. 27-29.9 ს.მ.ი-ის ფონზე შესაძლო დაავადებებს და რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება: ჰიპერტენზია, დისლიპიდემია, გულის კორონარული დაავადება, ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტი და ძილის აპნოე.

კონკრეტულ პაციენტში პრეპარატის ეფექტურობის განსაზღვრისთვის მიზანშეწონილია ერთი პრეპარატის დანიშვნა საცდელი პერიოდის განსაზღვრით. იმ შემთხვევაში, თუ მკურნალობის ფონზე წონაში კლების სასურველი მაჩვენებლები არ ფიქსირდება, საჭიროა მკურნალობის პროცესის ხელახლა გადახედვა და დოზის რეგულირება. პრეპარატის მიღება უნდა შეწყდეს იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი არ ექვემდებარება მკურნალობას ან სერიოზული გვერდითი ეფექტები აღინიშნა.

ფარმაკოთერაპიის დაწყებიდან ოთხი კვირის განმავლობაში წონაში კლება უნდა აღინიშნოს 2 კილოგრამით (4.4 ლბ). თუ აღნიშნული მაჩვენებელი არ დაფიქსირდა სამომავლო ეფექტურობა ნაკლებსავარაუდოა. პირველი ოთხი კვირის განმავლობაში მიღებული შედეგით შეიძლება ვიმსჯელოდ მომდევნო მკურნალობაზე. მედიკამენტური თერაპიის გაგრძელება მიზანშეწონილია შესაფერისი საპასუხო კრიტერიუმის მქონე პაციენტებში. იქ სადაც პირველი ოთხი კვირის განმავლობაში სასურველი ეფექტი არ აღინიშნა რეკომენდებულია მკურნალობის შეწყვეტა. მედიკამენტური მკურნალობის გაგრძელება მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ პირველი 6 თვის განმავლობაში აღინიშნება წონაში დაკლება ან კლების საწყისი ფაზის შემდეგ წონის შენარჩუნება. გვერდითი ეფექტების გამოვლენისთანავე უნდა შეწყდეს პრეპარატის მიღება.



მსუქან პაციენტებში წონაში დაკლებას განაპირობებს ცხოვრების სტილის მოდიფიკაციასთან (კვება და ფიზიკური აქტიურობა) ერთად წარმოებული ფარმაკოთერაპია (6 თვიდან 1 წლამდე). წონაში კლების საშუალო მაჩვენებელი 4-12%-ს შეადგენს.

წონაში დაკლების მედიკამენტური მკურნალობისთვის ძირითადად გამოიყენება ანორექსანტები და მადის დამთრგუნველი საშუალებები. კვებისა და მედიკამენტების ადმინისტრირების სააგენტომ (FDA) დაამტკიცა აგრეთვე პრეპარატები სიბუტრამინი (Sibutramine) და ორლისტატი (Orlistat). სიბუტრამინი ახდენს ნორეპინეფრინისა და სეროტონინის უკუშეზღვევის ინჰიბირებას. ორლისტატი არ მიეკუთვნება მადის დამთრგუნველ საშუალებას და მოქმედების განსხვავებული მექანიზმი აქვს. ორლისტატი ახდენს პანკრეასის ლიპაზის ინჰიბირებას და ცხიმის შეწოვის დაახლოებით 1/3-ის ბლოკირებას ახდენს.

იხ. დანართი №3. სიმსუქნის სამკურნალო მედიკამენტების ნუსხა, რომელიც დამტკიცებულია FDA-ს მიერ.

მცენარეული მედიკამენტები განუსაზღვრელი რაოდენობით შეიცავენ აქტიურ ნივთიერებებს და პოტენციურად საზიანოა. წონაში დაკლების პროგრამაში აღნიშნული პრეპარატების განხილვა დაუშვებელია.

ფარმაკოთერაპიის დაწყებამდე აუცილებელია თითოეული პაციენტის შესახებ სრული მედიკამენტური ანამნეზის შეკრება (წარსულში სხვა დანიშნულების გამოყენების, წონაში დაკლების მიზნით რეცეპტურული, არარეცეპტურული ან მცენარეული პრეპარატების ჩათვლით).

### **უსაფრთხოება და გვერდითი ეფექტები**

წონაში დაკლების მედიკამენტური მკურნალობის დროს პაციენტებში აღინიშნა გვერდითი ეფექტები. მკურნალობის დაწყებიდან მალევე შეიძლება გამოვლინდეს დოზასთან დაკავშირებული მცირე ეფექტები, რომელიც საშუალო სიმძიმისაა და დროთა განმავლობაში თავისთავად გაქრება. საწყისი გვერდითი ეფექტების თავიდან აცილება ან მინიმუმამდე შემცირება შესაძლებელია:

- დოზირების და მიღების სქემის შედგენით,
- გვერდითი ეფექტების მიმართ მაღალი რისკის ჯგუფების გამოვლენით და სწორად შერჩეული მედიკამენტური მკურნალობით,
- პაციენტის განათლებით და გვერდითი ეფექტების მონიტორინგით მკურნალობის დასაწყისში ან დოზის ცვლილების დროს.

იშვიათი, მაგრამ პოტენციურად სერიოზული გვერდითი ეფექტები შეიძლება გამოვლინდეს მკურნალობის საკმაოდ გვიან ეტაპზე.

იხ. დანართი №4. FDA-ს მიერ სიმსუქნის სამკურნალოდ დამტკიცებული მედიკამენტების უარყოფითი ეფექტები.

პლაცებო-კონტროლირებადი კვლევებით მიღებული გვერდითი ეფექტების გაგრძელება

გვერდითი ეფექტი	სიბუტრამინი	პლაცებო
თავის ტკივილი	30.3%	18.6%
პირის სიმშრალე	17.2%	4.2%
ყაბზობა	11.5%	6.0%
ანორექსია	13.0%	3.5%
ინსომნია	10.7%	4.5%
მომატებული არტ. წნევა	2.1%	0.9%

პლაცებოსთან შედარებით სიბუტრამინის ფონზე ნორმოტენზიულ და კონტროლირებადი ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებში აღინიშნა სისტოლური ან დიასტოლური წნევის (1-3 მმ გ) და გულის ცემის სიხშირის (4-5 დარტყმა/წთ) საშუალოდ გაზრდა. კარდიოვასკულარული გვერდითი ეფექტების სერიოზულობიდან გამომდინარე, სიბუტრამინი წინააღმდეგნაჩვენებია არაკონტროლირებადი ან ცუდად კონტროლირებადი ჰიპერტენზიის დროს.

წონაში დასაკლებად დანიშნული ზოგიერთი პრეპარატის ფონზე გამოვლინდა პირველადი ფილტვისმიერი ჰიპერტენზია, განსაკუთრებით თუ მკურნალობა 3 თვეზე მეტხანს გრძელდებოდა (Abenheim, 1996, McCann, 1997). ფიქრობენ, რომ აღნიშნული მდგომარეობა განპირობებულია სეროტონინის მომატებული დონით. სეროტონინის მომატებული რაოდენობა იწვევს ფილტვის ვაზოკონსტრიქციას. სიბუტრამინის მოქმედების მექანიზმი დამყარებულია სეროტონინის უკუშეპოჭვის ინჰიბირებაზე და არა სეროტონინის გამომანთავისუფლებელ ფაქტორებზე. მოქმედების განსხვავებული მექანიზმი ამცირებს სიბუტრამინით განპირობებული გულის სარქველების დაზიანების რისკს.

დისპნოე, გულმკერდის არეში ტკივილი, სინკოპე და შეშუპება ის სიპტომებია, რომლებიც შეიძლება აღინიშნოს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მკურნალობისას. მკურნალობის პროცესში ან მისი შეწყვეტიდან 1 წლის განმავლობაში ზემოთ აღნიშნული სიმპტომების გამოვლენისთანავე უნდა ეცნობოს ექიმს და შეწყდეს პრეპარატის მიღება.

## ორლისტატი

ორლისტატის გვერდითი ეფექტები ძირითადად გასტროინტესტინალური სისტემით შემოიფარგლება. პრეპარატის შეწოვა მინიმალურია.

### ცხრილი №10:

მკურნალობის პირველი წლის განმავლობაში გამოვლენილი გვერდითი ეფექტები

გვერდითი ეფექტი	ორლისტატი	ლაკეობ
ცხიმოვანი ოფლიანობა	26.6%	1.3%
მეტეორიზმი	23.9%	1.4%
კუჭის მოქმ. გახშირება	22.1%	6.7%
ცხიმოვანი განავალი	20.0%	2.9%
ცხიმისანი კუჭის მოქმედება	11.9%	0.8%
დეფეკაციის გაზრდა	10.8%	4.1%
განავლის შეუკავებლობა	7.7%	0.9%

გვერდითი ეფექტების უმეტესობა საშუალო და გარდამავალი ხასიათის იყო, მათი შემცირება აღინიშნა მკურნალობის მეორე წლისთვის. აღნიშნული მოვლენები მკურნალობის დაწყებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში დაფიქსირდა. გასტროინტესტინალურ სისტემასთან დაკავშირებული მოვლენების დაახლოებით 50%-ი ერთ კვირაზე ნაკლებ პერიოდში აღინიშნა, დანარჩენი კი არაუმეტეს 4 კვირისა.

ცხიმის მიღებით გამოწვეული გვერდითი ეფექტების შემცირების ან თავიდან აცილების მიზნით რეკომენდირებულია ცხიმის დაბალი რაოდენობის შემცველი დიეტის დაცვა, რომელიც ცხიმიდან მიღებული კალორიების 30%-ზე ნაკლებს შეიცავს. გამომდინარე იქიდან, რომ ორლისტატის მიღება უმჯობესია გარკვეული რაოდენობით ცხიმის შემცველ საკვებთან ერთად, დოზის გამოტოვება რეკომენდირებულია არაშესაფერისი საკვების არსებობის დროს. ორლისტატის გამოყენების ფონზე კარდიალური დარღვევები არ გამოვლენილა.

გვერდითი ეფექტების სიხშირის გაზრდას განაპირობებს მედიკამენტების კომბინირება. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ კომბინირებული მკურნალობის უსაფრთხოების შესახებ მწირი ინფორმაცია მოიპოვება. უმჯობესია ამ ჯგუფის პრეპარატების მონოთერაპიაში გამოყენება. გვერდითი ეფექტების განვითარების ალბათობას ამცირებს აგრეთვე პრეპარატის შესაძლო მინიმალური დოზით გამოყენება.

ორსულ და მეძუძურ ქალებში წონაში დასაკლები პრეპარატების უსაფრთხოება შესწავლილი არ არის. აღნიშნული ჯგუფის არცერთი პრეპარატის გამოყენება არ არის რეკომენდირებული ორსულებსა და მეძუძურ ქალებში. 12-16 წლამდე ასაკის მოზარდებში სიმსუქნის სამკურნალოდ კვებისა და მედიკამენტების ადმინისტრირების სააგენტომ (FDA) დაამტკიცა პრეპარატი ორლისტატი. გერიატრიულ (65 წელზე მეტი) პოპულაციაში ორლისტატის და სიბუტრამინის უსაფრთხოება და ეფექტურობა შესწავლილი არ არის. პრეპარატ ორლისტატით

მკურნალობა დასაშვებია ორი წლის, სიბუტრამინით კი ერთი წლის განმავლობაში. ორი წლის შემდეგ მათი გამოყენების უსაფრთხოება და ეფექტურობა შესწავლილი არ არის.

### **წამალთშორისი ურთიერთქმედება**

წონაში დასაკლები საშუალებებით მკურნალობის დაწყებამდე უნდა შეფასდეს პრეპარატთა ურთიერთქმედების ალბათობა.

იხ. დანართი №5. FDA-ს მიერ სიმსუქნის სამკურნალოდ დამტკიცებული მედიკამენტების ურთიერთქმედება.

არ არის რეკომენდებული პრეპარატ სიბუტრამინის გამოყენება წონის დასაკლებ სხვა პრეპარატებთან ერთად. სეროტონინის სინდრომის განვითარების რისკი მატულობს სიბუტრამინის კომბინირებით სხვა სეროტონერგულ საშუალებასთან, რაც განპირობებულია სიბუტრამინის უნარით მოახდინოს სეროტონინის უკუშეშვების ინჰიბირება. უნდა მოვერიდოთ აღნიშნული კომბინაციის გამოყენებას. სეროტონინის სინდრომის დამახასიათებელი ნიშნებია: აგზნებადობა, ფორიაქი, გონების დაკარგვა, გონების ნაწილობრივი დაბინდვა, დეზორიენტაცია, ჰიპომანია, კონფუზია, აჟიტირება, მამოძრავებელი კუნთების შესუსტება, ტრემორი, ჰიპერრეფლექსია, ატაქსია, კოორდინირების დარღვევა, ჰიპერთერმია, დიაფორეზი (ოფლის დიდი რაოდენობით გამოყოფა), ღებინება და ტაქიკარდია (Sporer, 1995).

პაციენტები, რომლებიც ორლისტატით მკურნალობის პარალელურად ღებულობენ სხვა მედიკამენტებს, ციკლოსპორინის დონის მონიტორინგი უნდა აწარმოონ ხშირად. ცხიმის მაღაბსორბციის საზიანო ზეგავლენის გამო, გახშირებული მონიტორინგი ესაჭიროება აგრეთვე მცირე თერაპიული ინდექსის მქონე პრეპარატების (მაგ, ვარფარინი) მიღების დროსაც.

ორლისტატით მკურნალობის ფონზე აგრეთვე აღინიშნა შრატში ცხიმში ხსნადი ვიტამინების (ვიტამინები A, D, E, K) შემცირება. მიუხედავად იმისა, რომ კლინიკური კვლევის პროცესში პაციენტთა უმრავლესობას პლაზმის დონე ნორმის ფარგლებში ჰქონდათ, ყოველდღიურად, ძილის წინ რეკომენდებულია ცხიმში ხსნადი მულტივიტამინის მიღება.

### **ეფექტურობა**

მომატებული ფიზიკური აქტიურობის და კვების კომბინირება მედიკამენტურ თერაპიასთან განაპირობებს წონის ზომიერ (2-10 კგ) კლებას. წონის საწყისი კლება აღინიშნება მკურნალობის დაწყებიდან პირველი 6 თვის განმავლობაში. ფარმაკოთერაპიის დაწყებიდან ექვსი თვის შემდეგ წონაში დამატებითი კლება იშვიათად აღინიშნება, თუმცა მკურნალობის გაგრძელების ფონზე შესაძლებელია წონის შენარჩუნება. არსებობს მონაცემები, მკურნალობის ფონზე წონის მატებასთან დაკავშირებით. პაციენტებს ხშირად აღენიშნებათ წონის მატება მკურნალობამდე ან უფრო მაღალ მაჩვენებლებამდე, მას შემდეგ რაც ისინი შეწყვეტენ მედიკამენტურ მკურნალობას.

## ორლისტატი

პაციენტები, რომლებიც კვებისა და ფიზიკური აქტიურობის სპეციალური პროგრამის პარალელურად ღებულობენ პრეპარატ ორლისტატს, ერთი წლის შემდეგ წონაში მოსალოდნელია, რომ გახდნენ 3.9-10.6 კგ-ით, ორი წლის შემდეგ 4.6-7.6 კგ-ით. ერთ წელიწადში საწყისი წონის 5%-ით შემცირება აღინიშნა 30%-70%-ში (ვს 13%-45%-მდე პლაცებო ჯგუფში); ერთ წელიწადში საწყისი წონის 10%-ით შემცირება აღინიშნა 10%-41%-ში (vs 4%-21%-მდე პლაცებო ჯგუფში) (Grade I: Conclusion Grading Worksheet A – Annotation # 10 Orlistat, Institute for Clinical Systems Improvement, 2003).

## სიბუტრამინი

პაციენტებისათვის, რომლებიც კვებისა და ფიზიკური აქტიურობის სპეციალური პროგრამის პარალელურად ღებულობენ პრეპარატ სიბუტრამინს, მკურნალობის დაწყებიდან 24-52 კვირის შემდეგ წონაში კლება მოსალოდნელია 4.4-16.6 კგ-ით. ერთი წლის განმავლობაში საწყისი წონის 5%-ით შემცირება აღინიშნა 39%-77%-ში (vs 11%-40%-მდე პლაცებო ჯგუფში); ერთი წლის განმავლობაში საწყისი წონის 10%-ით შემცირება აღინიშნა 14%-46%-ში (vs 0%-8%-მდე პლაცებო ჯგუფში) (Grade I: Conclusion Grading Worksheet B – Annotation # 10 Sibutramine, Institute for Clinical Systems Improvement, 2003).

## **შეჯამება**

- სიბუტრამინით მკურნალობის ფონზე რეგულარულად უნდა წარმოებდეს არტერიული წნევის და გულის ცემის სიხშირის მონიტორინგი, რათა დროულად გამოვავლინოთ მომატებული მაჩვენებლების მქონე პაციენტები;
- ორლისტატი მკურნალობისთვის დამახასიათებელია გასტროინტესტინური გვერდითი ეფექტები. მათი სიხშირე და სიმძიმე დროთა განმავლობაში (ერთი კვირის შემდეგ) კლებულობს. მათ შემცირებას განაპირობებს აგრეთვე საკვებში ცხიმის შემცველობის გაკონტროლება;
- პლაცებოსთან შედარებით, ცხოვრების სტილის ცვლილებებთან ერთად სიბუტრამინისა და ორლისტატის ფონზე წონაში კლების უკეთესი მაჩვენებლები აღინიშნა;
- ორივე პრეპარატზე, პაციენტთა 5%-25%-მა წარმატებით ვერ დაასრულა კვლევის მოსამზადებელი პერიოდი; ორივე ჯგუფის (სამკურნალო და პლაცებო) რანდომიზებულ პაციენტთა 9%-54%-მა წარმატებით ვერ დაასრულა კვლევის სამკურნალო ფაზა. უდიდესი სარგებელი შეიძლება აღინიშნოს პაციენტებში ვისაც თანმხლები დაავადების სახით დიაბეტი აღინიშნებათ;
- პაციენტთა 50%-ზე მეტი, რომლებმაც საწყისი წონის 5%-ზე მეტი დაიკლო და 30%-ზე მეტი, რომლებმაც საწყისი წონის 10%-ზე მეტი დაიკლო გაიარეს პლაცებოზე ყოფნის წინასწარი მოსამზადებელი პერიოდი, რომლის დროსაც გამოიკვეთა სურვილი და უნარი განეხორციელებინათ ცხოვრების წესის ცვლილებები;

- აღნიშნული პრეპარატების გამოყენების შესახებ დაკვირვების მაქსიმალური პერიოდი 2 წელიწადს შეადგენს. მცირე ინფორმაცია მოიპოვება ორი წლის შემდეგ წონის კლების პროცესში ფარმაკოთერაპიის ეფექტურობაზე.

### **მედიკამენტური მკურნალობა და პაციენტების მონიტორინგი**

წონის მედიკამენტური მკურნალობის დაწყებისთანავე აუცილებელია პაციენტთა მონიტორინგი. მონიტორინგის სქემა გულისხმობს პაციენტების შეფასებას ორიდან ოთხი კვირის შუალედში, თვეში ერთხელ მომდევნო 3 თვის განმავლობაში და ყოველ სამ თვეში ერთხელ მკურნალობის დაწყებიდან 1 წლის განმავლობაში. აღნიშნული ვიზიტების დროს ფასდება წონა, წელის გარშემოწერილობა, არტერიული წნევა, გულის ცემის სიხშირე, გვერდითი ეფექტების არსებობა, წარმოებს ლაბორატორიული ტესტები და პაციენტის შეკითხვებს ეძლევა პასუხები.

მკურნალობა წარმატებულად ითვლება, თუ პრეპარატის მიღების ფონზე არ აღინიშნება გვერდითი ეფექტები და მკურნალობის დაწყებიდან 6 თვის შემდეგ წონაში კლება აღინიშნება 10% ან მეტი. 6 თვის შემდეგ წონაში კლების პროცესი აღწევს პლატოს და უპირატესობა ენიჭება წონის შენარჩუნებას. შემდგომში წონაში დასაკლებად საჭიროა ცხოვრების სტილის მოდიფიკაცია, რაც კალორიის შემცირებას და ფიზიკური აქტიურობის გაზრდას გულისხმობს.

ორი წლის განმავლობაში წელის გარშემოწერილობის შემცირება სულ მცირე 4 სმ-ით და ნამატი 3 კგ-ზე (6.6 ლბ.) ნაკლები - წონის წარმატებული შენარჩუნებაა (National Heart, Lung and Blood Institute, 1998).

### **ალტერნატიული მედიცინა**

წონაში დასაკლები არა-რეცეპტურული პრეპარატების ფართო არჩევანია სადღეისოდ. აღნიშნული პროდუქცია დიდი რაოდენობით შეიცავს სხვადასხვა სახის ინგრედიენტს, როგორც ცალკე ასევე კომბინაციაში.

სიმსუქნის მკურნალობაში ალტერნატიული სამკურნალო საშუალებები მეტად პოპულარულია. თვლიან, რომ რეცეპტურულ პრეპარატებთან შედარებით ბალახეული და საკვების ჩამანაცვლებელი საშუალებები გაცილებით უსაფრთხოა. აღნიშნული საშუალებების გამოსაყენებლად პაციენტს არ ესაჭიროება პროფესიული სამედიცინო დახმარების ძიება. შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობის მქონე მსუქანი პაციენტებისთვის ეს შესაძლოა უფრო იაფი გამოსავალიც იყოს. პაციენტთა ნაწილი, ვინც ტრადიციული მკურნალობის მრავალჯერადი ცდის მიუხედავად შედეგს ვერ მიაღწია, ირჩევს მკურნალობის ალტერნატიულ მეთოდს.

არ მოიპოვება ინფორმაცია აღნიშნული საშუალებების ხანგრძლივად (1 წელზე მეტი) გამოყენების შესახებ. მიუხედავად ბალახეული საშუალებებით მკურნალობის მზარდი პოპულარობის, წონაში დასაკლებად მათი გამოყენების შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ მოიპოვება. უცნობია ამ საშუალებების ახლო და შორეული გვერდითი ეფექტები. გამომდინარე იქიდან, რომ

ბალახეული წარმოშობის პროდუქციის უმეტესობა არასტანდარტიზებულია, ეტიკეტზე წარმოდგენილი ჩამონათვალი შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს პროდუქციის შემცველობისგან (Gurley, 2000). პაციენტები, რომლებიც არაფარმაკოლოგიურ ან ბალახეულ სამკურნალო საშუალებებს იყენებენ ინფორმირებული უნდა იყვნენ შესაძლო გვერდითი ეფექტების და წამალთა ურთიერთქმედების შესახებ (Miller 1998, Winslow 1998).

## 6. სიმსუქნის მართვის ალგორითმი

- სიმსუქნე ქრონიკული, მულტიფაქტორული დაავადებაა, რომელსაც კომპლექსური პოლიტიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური, გარემო პირობები, ეკონომიკური და მეტაბოლური მიზეზები და შედეგები გააჩნია. ფაქტობრივად, სიმსუქნე სხეულის თითქმის ყველა შინაგან ორგანოზე ახდენს გავლენას;
- ოჯახის ექიმის პრაქტიკაში ყველა პაციენტს, სიმსუქნესთან და მასთან დაკავშირებული რისკის იდენტიფიცირების მიზნით, უნდა დაუდგინდეს სხეულის მასის ინდექსი და წელის გარშემოწერილობა (A);
- გამოთვალეთ სხეულის მასის მაჩვენებელი; მოახდინეთ ინდივიდების კლასიფიცირება გამომდინარე სხეულის მასის მაჩვენებელთა კატეგორიებიდან. მოახდინეთ ინფორმირება თქვენი პაციენტების, მათი სხეულის მასის მაჩვენებლების და მასთან დაკავშირებული რისკების შესახებ;
- არსებობს წონის რეგულირების ეფექტური სტრატეგიები, რაც მოიცავს კვებას, ფიზიკურ აქტიურობას, ცხოვრების სტილის მოდიფიცირებას, მედიკამენტურ მკურნალობას და ქირურგიულ ჩარევას;
- ექიმმა უნდა დაიცვას ხუთი „A“-ს პრინციპი (**ask, advice, assess, assist, arrange**) (კითხვა, რჩევა, შეფასება, დახმარება, მოწესრიგება მართვა). ექიმის ჩარევა ეფექტური უნდა იყოს, ექიმს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს და შესაბამისად წონის წარმატებული რეგულირება სავსებით შესაძლებელია;
- წონის რეგულირება გუნდურ მიდგომას მოითხოვს. გათვითცნობიერებული უნდა გქონდეთ კლინიკური და საზოგადოებრივი რესურსები. პაციენტს სჭირდება მუდმივი ურთიერთობა ოჯახის ექიმთან და მეთვალყურეობა ჯანდაცვის გუნდის მხრიდან. წონის კონტროლი მთელი ცხოვრების სავალდებულო საქმეა და ჯანდაცვის გუნდმა უნდა მოახერხოს პაციენტისთვის კონკრეტული მიზნების დასახვის ხელშეწყობა;
- ნებისმიერ პაციენტს, სხეულის მასის ინდექსის და წელის გარშემოწერილობის მიუხედავად, უნდა ჩაუტარდეს კონსულტირება ჯანსაღი კვებისა და ვარჯიშის თაობაზე (C);
- პაციენტებს, რომელთა სმი > 25-ზე, ხოლო წელის გარშემოწერილობა მამაკაცებში 94სმ-ს და ქალებში 80-ს აღემატება, ესაჭიროებათ შემდგომი

კონსულტაცია და გამოკვლევები სიმსუქნის დადგენისა და მისი მართვის ადეკვატური გეგმის შემუშავების მიზნით (C).

გარდა თავისი კლინიკური როლისა, პირველადი დახმარების ექიმებს შეგნებული უნდა ჰქონდეთ მათი როგორც საზოგადოების ლიდერების და ჯანმრთელობის დამცველების როლი.

### **პრიორიტეტული მიზნები**

1. გააცნობიერეთ სხეულის მასის ინდექსის მნიშვნელობა;
2. გააძლიერეთ იმ პაციენტთა კონსულტირება და ინფორმირებულობა, რომელთაც აღენიშნებათ ჭარბი სხეულის მასის ინდექსი, და დარწმუნდით, რომ მათ მიეწოდათ სათანადო კონსულტაციები წონის კლებასთან დაკავშირებით;
3. გააუმჯობესეთ სიმსუქნის მკურნალობის შედეგი;
4. გააუმჯობესეთ სიმსუქნის პრევენციასა და მკურნალობაში საზოგადოების (მოსამსახურეთა, მოსწავლეთა) ჩართულობის დონე.

### **შესაბამისი ღონისძიებები:**

1. გაათვითცნობიერეთ სხეულის მასის ინდექსის განსაზღვრის აუცილებლობა.

შესაძლო ღონისძიებები ამ მიზნის მისაღწევად:

- ა) იმ პაციენტთა პროცენტული რაოდენობა, ვისაც ჩაუტარდა სკრინინგი, დაუდგინდა სხეულის მასის ინდექსი და მონაცემები დაფიქსირდა სამედიცინო ჩანაწერებში (ბარათში) ბოლო 12 თვის განმავლობაში;
- ბ) იმ პაციენტთა პროცენტული რაოდენობა, რომელთა სამედიცინო ბარათებში არსებული დოკუმენტაცია მიაჩნია იმაზე, რომ მათ გაათვითცნობიერებული აქვთ ინფორმაცია საკუთარი სხეულის მასის ინდექსის შესახებ ბოლო 12 თვის განმავლობაში.

2. დააფიქსირეთ მომატებული სხეულის მასის ინდექსის მქონე პაციენტთა პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს სათანადო განათლება და რჩევები წონის კლებასთან დაკავშირებით.

შესაძლო ღონისძიებები ამ მიზნის მისაღწევად:

- ა) დოკუმენტურად დაფიქსირებული მომატებული სხეულის მასის ინდექსის მქონე პაციენტთა პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს სათანადო განათლება და რჩევები წონის კლებასთან დაკავშირებით, რაც მოიცავს კვებას, ფიზიკურ აქტიურობას, ცხოვრების წესის ცვლილებებს, მედიკამენტურ მკურნალობას და/ან ქირურგიულ ჩარევას:

- სმი 25-30: ცხოვრების წესის შეცვლა და ქცევის მენეჯმენტი;
- სმი 30-35: ცხოვრების წესის შეცვლა, ქცევის მენეჯმენტი და მედიკამენტური მკურნალობა;
- სმი 35-40: ცხოვრების წესის შეცვლა, ქცევის მენეჯმენტი და მედიკამენტური მკურნალობა;



- სმი 40+: ცხოვრების წესის შეცვლა, ქცევის მენეჯმენტი, მედიკამენტური მკურნალობა და ქირურგიული ჩარევის შესაძლებლობა.

ბ) დოკუმენტურად დაფიქსირებული, 25-ის ან უფრო მეტი სხეულის მასის ინდექსის და თანმხლები დაავადებების მქონე პაციენტთა პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს შესატყვისი განათლება და რჩევები.

### 3. გააუმჯობესეთ სიმსუქნის მკურნალობის შედეგი.

შესაძლო ღონისძიებები ამ მიზნის მისაღწევად:


- ა) 25-ის ან მეტი სხეულის მასის ინდექსის მქონე პაციენტთა პროცენტული რაოდენობა, სამედიცინო ბარათებში არსებული დოკუმენტური ინფორმაციით, რომელიც მიაჩნიათ იმაზე, რომ მათ სტაბილური სხეულის მასის ინდექსი აქვთ ან აღენიშნებათ სხეულის მასის ინდექსის შემცირება ბოლო 12 თვის განმავლობაში;
- ბ) იმ პაციენტთა პროცენტული რაოდენობა, რომელთა სამედიცინო ბარათებში არსებული დოკუმენტური ინფორმაციის მიხედვით მათი ფიზიკური აქტიურობა შეადგენს 30 წუთს, კვირაში ხუთჯერ;
